



# ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის კვლევა საქართველოში

კვლევის ანგარიში

2024

## წინასიტყვაობა

ამ კვლევის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა უამრავი ადამიანის ჩართულობისა და მხარდაჭერის, განსაკუთრებით, (ციფრულ) ბიზნესში ჩართული ქალების, ქალი კონტენტის შემქმნელებისა და სფეროს ექსპერტების გარეშე, რომლებმაც გამოკითხვაში, ინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფების დისკუსიებში მონაწილეობა მიიღეს. ჩვენ მადლიერები ვართ კვლევის მონაწილეების, რომლებმაც დიად გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილებები და პირადი ისტორიები.

ასევე გვსურს მადლიერება გამოვხატოთ WeResearch გუნდის მიმართ, მათ შორის სავლე მენეჯმენტის, სავლე კოორდინატორების, მოდერატორების, ინტერვიუებისა და ტრანსკრიპტების შექმნის პროცესში აქტიური ჩართულობისა და გაწეული შრომისთვის.

ბოლოს, გვსურს ხაზი გავუსვათ საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრისა (GCSD) და Mercy Corps-ის გუნდის მიერ გაწეულ ტექნიკურ დახმარებასა და მუდმივ მხარდაჭერას. მათი ჩართულობა ფასდაუდებელი იყო კვლევის განხორციელების პროცესში.

კვლევის ავტორები: გვანცა ჯიბლაძე, იდა ბახტურიძე, დაკო ბახტურიძე  
თარგმანი: ანნა ჯაყელი

WeResearch  
ივლისი 2024



შეჯამება.....	3
1. შესავალი .....	6
2. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის განმარტება.....	8
3. მეთოდოლოგია .....	11
3.1. რაოდენობრივი კვლევა .....	11
3.2. თვისებრივი კვლევა.....	13
3.3. კვლევის ეთიკა .....	15
3.4. კვლევის შეზღუდვები .....	15
4. საქართველოს კონტექსტი .....	17
4.1. ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული მონაცემები საქართველოში .....	17
4.2. ბიზნესში ჩართული ქალები საქართველოში: მიმოხილვა.....	18
5. კვლევის მიგნებები.....	21
5.1. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში.....	21
5.2. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა ბიზნეს გარემოში.....	24
5.2.1. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერება ბიზნესში დასაქმებულ ქალებს შორის .....	25
5.2.2. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გავრცელება და პატერნები ქართულ ბიზნეს გარემოში .....	28
5.2.3. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები.....	35
5.3. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გავლენა ბიზნესში ჩართულ ქალებზე.....	38
5.3.1. გამკლავების სტრატეგიები და დახმარების ძიება .....	43
6. არსებული პოლიტიკისა და მექანიზმების მიმოხილვა.....	47
7. რეკომენდაციები.....	53

## შეჯამება

წინამდებარე კვლევის ანგარიში ეხება საქართველოში ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობას, მის გავრცელებას, ფორმებსა და გავლენას ბიზნეს-კონტექსტში, და ფოკუსირდება ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორში მცირე და საშუალო მეწარმე ქალების გამოცდილებებზე. კვლევა Mercy Corps-სა და საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა და პროგრამის “უსაფრთხო ონლაინი: ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში” ნაწილია. ამ კვლევის მიზანია, ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ფენომენის უკეთ გაგება და მასთან დაკავშირებული საჯარო პოლიტიკისა და უსაფრთხო ციფრულ ბიზნეს-პრაქტიკებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევა შერეული, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით ჩატარდა. რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავდა საქართველოს ექვს რეგიონში სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესების ხელმძღვანელ ქალებში ონლაინ გამოკითხვას. თვისებრივი მონაცემები შეგროვდა ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების მეშვეობით ბიზნესში მაღალ რგოლებზე დასაქმებულ ქალებთან, ციფრულ ბიზნესში ჩართულ ქალებთან, ქალ კონტენტ-კრეატორებსა და დაინტერესებულ მხარეებთან. ამ მიდგომით, ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული პირადი გამოცდილებების, ინფორმირებულობისა და ბიზნეს გარემოში ამ ტიპის ძალადობის ნიუანსების სიღრმისეულად შესწავლა შეუძელით.

### ბიზნესში ტექნოლოგიების გამოყენება

კვლევით დადგინდა, რომ გამოკითხულ ქალთა სრული უმრავლესობა (88.6%) ბიზნეს ოპერაციებისთვის ტექნოლოგიებს ყოველდღიურად იყენებს, ყველაზე ხშირად გამოყენებულ ტექნოლოგიებს შორის კი ტელეფონები (77.2%) და ინტერნეტი (76.3%) დასახელდა. საწარმოს ზომისა და მარკეტის მოთხოვნის მიხედვით, ქალი მეწარმეები სხვადასხვანაირად იყენებენ ტექნოლოგიებს ბიზნეს ოპერაციებისთვის; მცირე ზომის საწარმოები ინფორმაციის გასავრცელებლად და მომხმარებლებთან წვდომისთვის ხშირად იყენებენ სოციალური მედიის პლატფორმებს, მაგალითად Facebook-სა და Instagram-ს, ხოლო დიდი ბიზნესები, კონკრეტული საჭიროების მიხედვით, სპეციალიზებულ პროგრამებს არჩევენ. ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების მიუხედავად, მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავ არსებობს. მაგალითად, სოციალური მედიის მართვისა და ციფრული კომუნიკაციის კუთხით ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა, ასევე ციფრულ უსაფრთხოებასა და ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის რისკებთან დაკავშირებული შფოთვა. ზემოაღნიშნული გამოწვევები ხაზს უსვამს მეტი რესურსისა და ტრენინგების საჭიროებას ციფრული ინტერაქციების უსაფრთხოების მართვისთვის.

## **ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გამოცდილებები და ინფორმირებულობა**

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შესახებ ინფორმირებულობა მნიშვნელოვნად განსხვავდება კვლევის მონაწილეებს შორის. რესპონდენტთა 60% მიუთითებს, რომ სმენიათ ძალადობის ინციდენტების შესახებ, თუმცა ინფორმირებულობა დედაქალაქში უფრო მაღალია, ვიდრე რეგიონებში მცხოვრებ ქალებთან. კვლევამ გამოავლინა, რომ ძალადობა ხშირად ასოცირდება ონლაინ ბულინგთან. რესპონდენტთა 76%-მა გაიხსენა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის საკუთარი ან სხვების გამოცდილებები, ბიზნეს კონტექსტში ან მის გარეთ. რესპონდენტების მიერ დასახელებული ყველაზე ხშირად გამოცდილი ფორმებია: ბულინგი, ცილისწამება და ადევნება, რაც ხშირად ჰაკინგისა (hacking) და არასასურველი შეტყობინების ტაქტიკებით ხორციელდება. რაც შეეხება ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გამოცდილებებს ბიზნეს კონტექსტში, ცილისწამება ყველაზე გავრცელებული ფორმა აღმოჩნდა, რომელიც რესპონდენტთა 9.2%-ს თავად განუცდია, 13.6% კი იცნობდა სხვა ქალს მსგავსი გამოცდილებით. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შემთხვევათა 40.2% უცნობი ადამიანების მიერაა ჩადენილი, რომლებსაც კვლევის მონაწილეების ბიზნესთან კავშირი არ აქვთ. გარდა ამისა, ქალებს მსგავსი ძალადობა გამოუცდიათ ყოფილი პარტნიორებისგან, გავლენიანი ადამიანებისა და ძალაუფლების მქონე პირებისგან. ციფრული პლატფორმების ანონიმურობის ფუნქცია და მხარდაჭერის ეფექტური სისტემების ნაკლებობა მოძალადეებს აძლიერებს, მსხვერპლებს კი იზოლირებულსა და მხარდაჭერის გარეშე ტოვებს, რასაც საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები და ონლაინ უსაფრთხოების კუთხით ცოდნის ნაკლებობა ემატება. ეს ყოველივე კი ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის მიმართ ქალების მოწყვლადობას კიდევ უფრო ზრდის.

## **ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გავლენა და გამკლავების სტრატეგიები**

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსხვერპლთა მენტალურ ჯანმრთელობასა და პროფესიულ პროდუქტიულობაზე. გამოკითხულთა 54.9%-მა გაზრდილ შფოთვასა და მასთან დაკავშირებულ სტრესზე მიუთითა. ეს ხშირად გადაიზრდება თვითცენზურასა და ონლაინ პროფესიული ქსელების მიტოვებაში, რაც პროფესიულ იზოლაციას ზრდის და ამცირებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებს. კვლევის იმ მონაწილეთაგან ვისაც ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა გამოუცდია, მხოლოდ 12%-მა გამოიყენა სამართლებრივი მექანიზმები. სამართლებრივი დახმარების გამოუყენებლობის მიზეზებს შორის გამოვლინდა ის, რომ ქალების 63% საკუთარ შემთხვევას საჩივრისთვის საკმარისად სერიოზულად არ მიიჩნევდა, 25% კი არსებული მექანიზმების შესახებ საკმარის ინფორმაციას არ ფლობდა. ამასთან, ზოგიერთმა ქალმა არ იცოდა, დახმარების მისაღებად ვისთვის მიემართა (24%). ძალადობის გამოცდილების მქონე ქალთა უმრავლესობა დახმარებას სამართლებრივი სისტემის მიღმა ეძებს, მათმა 33%-მა მომხდარის შესახებ ინფორმაცია მეგობრებს გაუზიარა, 23%-მა კი - ოჯახის წევრებს. გამკლავების გავრცელებულ მექანიზმებს შორისაა ინციდენტების იგნორირება, უსაფრთხოების ზომების მიღება, ონლაინ გაზიარებული ინფორმაციის კონტროლი და ქალების ონლაინ ჯგუფების ან პროფესიული ქსელების მეშვეობით თემის მხარდაჭერის ძიება.

### **არსებული პოლიტიკა და ინსტიტუციური რეაგირება**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რატიფიცირებული აქვს ისეთი საერთაშორისო კონვენციები, როგორებიცაა ბუდაპეშტის, სტამბულის და ლანზაროტეს კონვენციები, შიდა კანონმდებლობა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის აღმოსაფხვრელად ადეკვატურად გამართული არაა. არსებული საკანონმდებლო ჩარჩო ხშირად ვერ ახერხებს ძალადობის სპეციფიკურობის აღქმას, რაც გამოძიებისა და მხარდაჭერის კუთხით სირთულეებს იწვევს. ახლახანს დაარსებული სპეციალური საგამოძიებო სამსახური იმედისმომცემია, თუმცა მუდმივი მხარდაჭერა და უწყებისადმი ნდობის გაზრდაა საჭირო, რათა უკეთ მოხდეს ძალადობის შემთხვევების გამოძიება. აღნიშნული სიტუაცია ხაზს უსვამს საკანონმდებლო ცვლილებებისა და ინსტიტუციური რეაგირების გაძლიერების საჭიროებას, მსხვერპლთა ეფექტური მხარდაჭერისა და ტექნოლოგიებით განხორციელებული დანაშაულების აღმოსაფხვრელად.

ანგარიშში შემოთავაზებულია რეკომენდაციები კანონმდებლობის გაძლიერების, მონაცემთა შეგროვებასა და კვლევის მეთოდოლოგიების, ასევე შიდა ორგანიზაციული პოლიტიკისა და მხარდაჭერის მიდგომების გაუმჯობესების მიმართულებით. გარდა ამისა, რეკომენდაციები ეხება საგანმანათლებლო და ინფორმირებულობის ასამაღლებელ ინიციატივებსაც.

# 1. შესავალი

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა (TFGBV) ფართოდ გავრცელებული პრობლემაა, რომელიც ქალებისა და გოგონებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და გავლენას ახდენს მათ ინდივიდუალურ უსაფრთხოებაზე, კეთილდღეობასა და თანასწორობაზე. ბიზნესში ციფრული პლატფორმების მზარდ გამოყენებასთან ერთად, იქმნება შევიწროებისა და ძალადობის ახალი სივრცეებიც. აღნიშნული ტიპის ძალადობა ბიზნეს გარემოცვაში არა მხოლოდ ინდივიდუალურ უფლებებს ზღუდავს, არამედ გენდერული თანასწორობისა და ეკონომიკური განვითარების გზაზე დამატებით ბარიერს წარმოადგენს. მსგავსი ტიპის ძალადობა ხშირად დაუფიქსირებელი რჩება და არსებული პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში მათი გადაჭრა არასათანადოდ ხდება, რაც ხაზს უსვამს მსგავსი ტიპის ინციდენტების მიმდინარეობისა და ქართულ კონტექსტში მათი გადაჭრის დეტალური აღწერის მნიშვნელობას.

წინამდებარე კვლევა ჩატარდა საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრისა (GCSD) და Mercy Corps-ის გუნდის პროგრამის “უსაფრთხო ონლაინი: ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში” ფარგლებში. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ხელშეწყობასა და ყოვლისმომცველი გაგების ჩამოყალიბებას იმის შესახებ, თუ რამდენად ახდენს გავლენას ციფრული გარიყულობა და ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა ციფრულ ეკონომიკაზე წვდომასა და უსაფრთხოებაზე. კვლევა ფოკუსირდება აღნიშნული ტიპის ძალადობის გავრცელებაზე, ფორმებსა და გავლენაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება კი ექცევა ტურიზმსა და სოფლის მეურნეობის სფეროში რეგისტრირებული იმ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, რომელთა მფლობელებიც ქალები არიან.

კვლევა მიზნად ისახავდა, ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შესახებ ღირებული ინფორმაციის შეგროვებას და რეკომენდაციების შემუშავებას არსებული პოლიტიკისა და ციფრულ ინკლუზიურობაზე მიმართული ინტერვენციების გაუმჯობესებისთვის.

კვლევის მიზნებს წარმოადგენდა:

- ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შემთხვევების გავრცელებისა და ფორმების იდენტიფიცირება, განსაკუთრებით ბიზნეს გარემოში.
- ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გავლენის შესწავლა.
- არსებული საჯარო პოლიტიკის, საკანონმდებლო, ფორმალური მექანიზმების, ინსტრუმენტების გაანალიზება, და არსებული პრევენციული ზომებისა და მხარდაჭერის სისტემების მიმოხილვა.
- ძალადობასთან მიმართებაში რეზისტენტობის ზრდისთვის საჭირო დამატებითი რესურსებისა და ინსტრუმენტების მიმოხილვა.

ანგარიში წარმოდგენილია ბიზნესის კონტექსტში ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის დეტალური ანალიზი. ანგარიში იწყება ძალადობის განმარტებითა და გაგებით, რასაც მოყვება კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა, რომელიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ მეთოდებს, კვლევის შეზღუდვებსა და ეთიკურ საკითხებს. ამის

შემდეგ, ანგარიშში განხილულია საქართველოს კონტექსტი და წარმოდგენილია კვლევის მიგნებები ძალადობის გავრცელებასა და პატერნებზე, ასევე მისი გავლენა ბიზნესში ჩართულ ქალებზე. ანგარიში სრულდება არსებული პოლიტიკის მიმოხილვითა და გაუმჯობესებისთვის საჭირო რეკომენდაციებით.



## 2. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის განმარტება

მართალია, ძალადობის, როგორც მზარდი პრობლემის აღიარება, უფრო და უფრო ფართოდ ხდება ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, თუმცა მისი არსის შეთანხმებული გაგება და სათანადო მონაცემების შეგროვება პრობლემის სრულყოფილად აღსაწერად კვლავ გამოწვევად რჩება. მხოლოდ ბოლო წლებში გახდა შესაძლებელი საერთო განსაზღვრებაზე შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა გულისხმობს კომპლექსურ კავშირს ციფრულ განვითარებასა და გენდერთან დაკავშირებულ სოციალურ ნორმებს შორის. 2022 წლის ნოემბერში, გაეროს ორგანიზებით ჩატარდა ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა, სადაც ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ძირითადი განმარტება შემუშავდა:

*ქალთა მიმართ ტექნოლოგიით განხორციელებული ძალადობა (TF VAW)\* არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც ჩადენილია, ხელშეწყობილია, მწვავედა ან ძლიერდება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ან სხვა ციფრული ხელსაწყოების გამოყენებით, და რაც იწვევს, ან შესაძლოა გამოიწვიოს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური ან ეკონომიკური ზიანი, ან უფლებებისა და თავისუფლებების სხვა სახის დარღვევა.*

*გაეროს ქალთა და ჯანდაცვის ორგანიზაციის ერთობლივი პროგრამა VAW მონაცემების შესახებ*

თავისი არსით, ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა ცნობილია, როგორც დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანთა ისეთ უფლებებზე, როგორცაა ძალადობისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრება, უსაფრთხოება, გამოხატვის თავისუფლება და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომა. იგი ტრადიციული, ფიზიკურ სივრცეში გენდერული ძალადობისგან მისი მედიუმით განსხვავდება - ციფრული სამყარო, სადაც ძალადობის აქტი ხდება, მეტ ანონიმურობას, ფართო გავრცელების არეალსა და სისწრაფეს უზრუნველყოფს. აღნიშნული ციფრული კონტექსტი მსხვერპლისთვის პოტენციურ ზიანს ზრდის, დამნაშავეებს კი სხვადასხვა ინსტრუმენტებს სთავაზობს - როგორც იაფ, მარტივად ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებს, ისე უფრო დახვეწილ მეთოდებს. ტექნოლოგიების ფართო სპექტრი სხვადასხვა ტიპის ძალადობრივ ქმედებებს უწყობს ხელს, მათ შორის სურათებზე დაფუძნებულ ძალადობას, კიბერ-ადევნებას და უფრო ნაკლებად შესამჩნევ ფორმებს, მაგალითად პირადი ინფორმაციის გავრცელებასა და სიძულვილის ენას. ძალადობის ამ ფორმებს არა მხოლოდ განსხვავებული მახასიათებლები აქვთ, არამედ ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, რადგან მოძალადეებმა შესაძლოა ძალადობის ერთი ინციდენტის ფარგლებში სხვადასხვა ფორმა და ტაქტიკა გამოიყენონ, რაც ძალადობის განგრძობადობას უწყობს ხელს და მოიცავს როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ სივრცეებს. ციფრული პლატფორმების ანონიმურობა და ყოვლისმომცველობა კიდევ უფრო ართულებს ძალადობასთან ბრძოლას, რადგან, ხშირად, დამაზიანებელი მასალა (კონტენტი) ინტერნეტში განუსაზღვრელი ვადით რჩება და ძალადობის

შედეგებს ახანგრძლივებს.<sup>1</sup> გარდა ამისა, გენერაციული AI ტექნოლოგიების გამოჩენა ამ საკითხების გადაჭრას კიდევ უფრო ართულებს, შვიწროების ახალი ფორმების შემოღებითა და ძალადობის არსებული ვექტორების გაძლიერებით, რასაც რეალისტური ყალბი მედიისა და ავტომატური შვიწროების კამპანიების შექმნის გზით ახერხებს.<sup>2</sup>

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის მსხვერპლთა შორის არაპროპორციულად დიდი წილი ქალებსა და გოგონებს აქვთ, რაც საზოგადოებაში არსებულ გენდერულ უთანასწორობას ასახავს. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია გავლენა ლგბტქი+ ინდივიდებსა და იმ პირებზეც, რომლებიც ტრადიციულ გენდერულ ნორმებს არ ერგებიან, რაც გამოკვეთს ციფრული ინკლუზიისა და ონლაინ ძალადობის ინტერსექციულობის უფრო ფართო თემას.<sup>3</sup> ამას გარდა, IREX-ის მიერ ჩატარებული ანალიზის მიხედვით, იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც ინტერნეტ კავშირის მაღალი შეღწევაა და მცირე გენდერული სხვაობებია, ძალადობის შემთხვევები თითქმის ორჯერ მეტია იმ ადგილებთან შედარებით, სადაც გენდერული დაყოფა დიდია. არასასურველი შეტყობინებების მიღებისა და დამაზიანებელი კონტენტის ნახვის შიში ქალებს შორის ტექნოლოგიის გამოყენების მნიშვნელოვანი ბარიერია, რაც გადაფარავს ციფრულ წიგნიერებასთან ან ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ ბარიერებს.<sup>4</sup>

ეს ძალადობა გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდებზე, პერსონალურ დონეზე და იწვევს ემოციურ, ფსიქოლოგიურ და ხანდახან ფიზიკურ ზიანს, არამედ უფრო დიდი სოციალური ეფექტი აქვს. იგი აუარესებს დემოკრატიულ მონაწილეობას, ამდაფრებს გენდერულ უთანასწორობას და ზღუდავს დაზარალებული ჯგუფების შესაძლებლობას, სრულად ჩაერთონ ციფრულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ძალადობასთან დაკავშირებული ეკონომიკური ფასი უკავშირდება დასაქმების შესაძლებლობებისა და ფინანსური კეთილდღეობის დაკარგვას, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს ძალადობის ამ ფორმის ყოვლისმომცველობას.<sup>5</sup> ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად უშლის ხელს ქალებისა და გოგონების მონაწილეობასა და ჩართულობას საჯარო და პოლიტიკურ დისკურსებში. ასეთი ტიპის ონლაინ ძალადობაზე გავრცელებული რეაგირებაა ონლაინ აქტიურობის შემცირება ან ონლაინ პლატფორმების სრულად მიტოვება, რაც ზღუდავს მსხვერპლთა შესაძლებლობას, გავლენა იქონიონ საზოგადოების აზრზე, ჩაერთონ აქტივიზმში ან ცვლილებისთვის ადვოკატირების პროცესში.<sup>6</sup>

ძალადობის უფრო ფართო, გენდერული ძალადობის სპექტრში გაგება საჭიროებს ყოვლისმომცველი ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რომელიც ძალადობრივი აქტების მიზანს,

<sup>1</sup> The Global Partnership. Technology-facilitated gender Based Violence: Preliminary Landscape Analysis. [https://assets.publishing.service.gov.uk/media/64abe2b21121040013ee6576/Technology\\_facilitated\\_gender\\_based\\_violence\\_preliminary\\_landscape\\_analysis.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/media/64abe2b21121040013ee6576/Technology_facilitated_gender_based_violence_preliminary_landscape_analysis.pdf)

<sup>2</sup> UNESCO. 2023. Technology Facilitated Gender Based Violence in an Era of Generative AI.

<sup>3</sup> Khoo C. 2021. Deplatforming Misogyny. Report on Platform Liability For Technology Facilitated Gender Based Violence. Women's Legal Education and Action Fund (LEAF)

<sup>4</sup> IREX. 2023. Technology-Facilitated Gender Based Violence as an Attack on Women's Public Participation: Review of Global Evidence and Implications. <https://www.irex.org/Technology-Facilitated-Gender-Based-Violence-Review-of-Global-Evidence.pdf>


<sup>5</sup> The Global Partnership. Technology-facilitated gender Based Violence: Preliminary Landscape Analysis. [https://assets.publishing.service.gov.uk/media/64abe2b21121040013ee6576/Technology\\_facilitated\\_gender\\_based\\_violence\\_preliminary\\_landscape\\_analysis.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/media/64abe2b21121040013ee6576/Technology_facilitated_gender_based_violence_preliminary_landscape_analysis.pdf)

<sup>6</sup> Khoo C. 2021. Deplatforming Misogyny. Report on Platform Liability For Technology Facilitated Gender Based Violence. Women's Legal Education and Action Fund (LEAF)

დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობასა და კონკრეტულ გამოყენებულ ქცევებს იკვლევს. ქალთა კვლევის საერთაშორისო ცენტრმა (ICRW) შეიმუშავა კონცეპტუალური ჩარჩო (სურათი 1)<sup>7</sup> რომელიც ამ კომპლექსურ სისტემას აღწერს და მოიცავს როგორც დამნაშავეთა მოტივაციებსა და მიზანს, ისე გავლენას მსხვერპლებზე და მათი გამკლავების მექანიზმებს. ამ ჩარჩოში, ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გავლენა მსხვერპლებზე კატეგორიებად იყოფა: ფსიქოლოგიურ, ფუნქციურ, ეკონომიკურ და სოციალურ გავლენებად, რითიც აღნიშნული ტიპის ძალადობის მიერ გამოწვეულ დიდ ზიანს ესმევა ხაზი.

სურათი 1: ICRW-ის მიერ შემუშავებული TFGBV-ის კონცეპტუალური ჩარჩო

**ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა**



**კონტექსტი:** სოციალური, გენდერული, კულტურული, სამართლებრივი, პოლიტიკური, რელიგიური, ტექნოლოგიური

<sup>7</sup> Hinson L, Mueller J, O'Brien-Milne L, Wandera N. (2018). Technology-facilitated gender-based violence: What is it, and how do we measure it? Washington D.C., International Center for Research on Women. [https://www.icrw.org/wp-content/uploads/2018/07/ICRW\\_TFGBVMarketing\\_Brief\\_v8-Web.pdf](https://www.icrw.org/wp-content/uploads/2018/07/ICRW_TFGBVMarketing_Brief_v8-Web.pdf)

### 3. მეთოდოლოგია

ბიზნეს სექტორში დასაქმებული ქალების მიმართ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის დეტალური კვლევისთვის შერეული მეთოდოლოგიური მიდგომა გამოვიყენეთ. კვლევის დიზაინი მოიცავდა, როგორც რაოდენობრივ კომპონენტს, ისე ძალადობის დეტალურ თვისებრივ ასპექტებს. კვლევა ორიენტირდა საქართველოს ექვს რეგიონში ბიზნესში ჩართულ ქალებზე. აღნიშნული რეგიონებია: კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და თბილისი.

GCSD-თან თანამშრომლობით, კვლევის მთავარ სამიზნე ჯგუფად გავნსაზღვრეთ ქალები, რომლებიც **ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესებს ხელმძღვანელობენ**. გარდა ამისა, საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, თვისებრივი მონაცემები შევადგინეთ სხვა ჯგუფებიდანაც, მაგალითად, ბიზნესში მაღალ რგოლებზე დასაქმებული ქალები, ციფრულ ბიზნესში ჩართული ქალები და სოციალური მედიის კონტენტის შემქმნელი ქალები, ასევე თემატური ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

#### 3.1. რაოდენობრივი კვლევა

##### კითხვარის შემუშავება

კითხვარის შემუშავებისას ICRW-ის კონცეპტუალური ჩარჩო გამოვიყენეთ, რომელიც გავამდიდრეთ სხვა განმარტებათა ელემენტებით. გავნსაზღვრეთ ძალადობის სხვადასხვა ფორმა და ტაქტიკა და ასოცირებული ქცევების ასაღწერად კონკრეტული ინდიკატორები შევიმუშავეთ (ცხრილი 1). აღნიშნულ განმარტებებზე დაყრდნობით, შევქმენით სამი სექციისგან შემდგარი კითხვარი: რესპონდენტების დემოგრაფია, ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში და ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გამოცდილება. კითხვარი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რითიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მონაწილეებს საშუალება მიეცათ, პასუხები მათთვის სასურველ ენაზე გაეცათ.

ცხრილი 1: ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ფორმებისა და ტაქტიკების ოპერაციონალიზაცია

ფორმები	ტაქტიკები
<p><b>ადევნება:</b> ნების საწინააღმდეგოდ განმეორებითი მცდელობები მეორე ადამიანთან დაკავშირების, ან მის ცხოვრებაში შეჭრის მიზნით, რაც საფრთხის შეგრძნებას იწვევს.</p> <p><b>ცილისწამება:</b> ონლაინ, ტელეფონით ან სხვა ტექნიკის გამოყენებით ისეთი ქცევების</p>	<p><b>დოქსინგი:</b> ნებრათვის გარეშე მეორე ადამიანის პირადი მონაცემების მოპოვება და გასაჯაროვება ონლაინ.</p> <p><b>ჰაკინგი:</b> უნებართვო წვდომა მეორე ადამიანის ციფრულ მოწყობილობებზე და/ან ონლაინ</p>

<p>განხორციელება, რომლის მიზანი მეორე ადამიანის რეკომენდაციის შელახვაა.</p> <p><b>ბუღინგი და სიძულვილის ენა:</b> ონლაინ, ტელეფონით ან სხვა ტექნოლოგიის გამოყენება სხვა ადამიანის სიძულვილის, დაჩაგვრის, დაცინვის და/ან დაშინების მიზნით ინდივიდის ან ჯგუფის მიერ.</p> <p><b>სექსუალური შევიწროება:</b> ონლაინ, ტელეფონით ან სხვა ტექნოლოგიის გამოყენება სხვა ადამიანის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის სიტყვიერი, ან არავერბალური ქცევის განხორციელების მიზნით.</p> <p><b>ექსპლუატაცია:</b> ონლაინ, ტელეფონით ან სხვა ტექნოლოგიის გამოყენებით სხვა ადამიანის იძულება გააკეთოს რაიმე მისთვის არასასურველი.</p>	<p>ანგარიშებზე.</p> <p><b>ფოტოებით განხორციელებული ძალადობა:</b> მეორე ადამიანის ფოტოებს, ვიდეოების ან უკიდურესად პირადი ვიზუალური ინფორმაციის გამოქვეყნება ნებართვის გარეშე.</p> <p><b>მუქარა:</b> უხამსი, მუქარის შემცველი, უსიამოვნო ან უხმო სატელეფონო და/ან ონლაინ ზარების განმეორებითი განხორციელება.</p> <p><b>არასასურველი შეტყობინებები:</b> არასასურველი, შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი შეტყობინებების, მათ შორის შეტყობინებების სოციალურ ქსელებში, ელექტრონული წერილების ან SMS-ების განმეორებითი გაგზავნა.</p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი**

რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად გამოვიყენეთ Google Forms-ის კომპიუტერული თვით-ადმინისტრირებული კითხვარი. გამოვკითხეთ ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესების მფლობელი ქალები კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და თბილისის რეგიონებიდან. თავდაპირველად, შერჩევის ჩარჩო საქსტატის რეგისტრირებული ბიზნესის სიის მეშვეობით დადგინდა. კითხვარი გადაუგზავნეთ ჩვენი კატეგორიების მიხედვით გაფილტრულ ბაზაში ყველა მცირე და საშუალო ბიზნესს მითითებული ელექტრონული ფოსტასა და ტელეფონის ნომერზე.





დაბალი ჩართულობის გამო, გამოპასუხების მაჩვენებლის ზრდის მიზნით, კვლევის მონაწილეებთან დასაკავშირებლად გამოვიყენეთ ერთდროულად რამდენიმე სტრატეგია. კვლევის ადგილობრივი კოორდინატორები მუშაობდნენ კომპანიებთან, რათა წახალისებინათ მონაწილეობა და რეგიონული მონაწილეობის სამიზნე ოდენობა შეეცდოთ. ამასთან, საჭიროებისამებრ ატარებდნენ პირდაპირ ან სატელეფონო ინტერვიუებსაც. სულ შევაგროვეთ 253 პასუხი, რომელთაგან 24 გაიფილტრა, რადგან ჩვენი სამიზნე ჯგუფისთვის არარელევანტური იყო.

რაოდენობრივი ანალიზი დაეყრდნო დარჩენილ 229 პასუხს. მონაცემები გაიწმინდა და ანალიზისთვის მომზადდა Excel-ში, რის შემდეგაც ანალიზისთვის გადავიტანეთ SPSS-ში.

რაოდენობრივი ანალიზი ძირითადად მოიცავდა აღწერითი სტატისტიკის მეთოდებს, როგორცაა სიხშირეები და კროსტაბულაციები.

რეგიონების მიხედვით გამოკითხულ რესპონდენტთა პროცენტული განაწილება შემდეგია: სამცხე-ჯავახეთი (25.4%), თბილისი (24.5%), კახეთი (14.5%), ქვემო ქართლი (11.0%), მცხეთა-მთიანეთი (10.1%), შიდა ქართლი (9.2%), რამდენიმე რეგიონი (3.1%) და სხვა (2.2%). სურათ 2-ზე მოცემულია ჩვენი შერჩევის დემოგრაფიული მახასიათებლების აღწერითი სტატისტიკა.

სურათი 2: გამოკითხვის მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლები



### 3.2. თვისებრივი კვლევა

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის უნიკალური გამოცდილებების შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის შესაგროვებლად გამოვიყენეთ ფოკუსგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები. ამ მეთოდებით შეგროვილი ინფორმაცია გამოვიყენეთ რაოდენობრივი გამოკითხვის მონაცემების გასამდიდრებლად, რათა უკეთ გაგვეგო ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შესახებ აღქმები და მის შესახებ ინფორმირებულობა, ამ ტიპის ძალადობასთან პირადი გამოცდილებების ნიუანსები საქართველოში არსებული სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ამ

გამოცდილებების გავლენა ფსიქოლოგიურ და პროფესიულ ტრაექტორიაზე, და გამკლავების მექანიზმებისა და მხარდაჭერის არსებული რესურსების გამოყენება.

ზემოჩამოთვლილთან ერთად, ჩავატარეთ ძირითად ინფორმანტთა ინტერვიუები (KII), რათა არსებული პოლიტიკის დოკუმენტების, საკანონმდებლო ჩარჩოსა და ძალადობასთან დაკავშირებული ინსტიტუციური მხარდაჭერის შესახებ ინფორმაცია შეგვეგროვებინა. ინტერვიუების კითხვები მოიცავდა ხარვეზების იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესებისთვის საჭირო რეკომენდაციებს.

### **თვისებრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი**

ფოკუსჯგუფები ჩატარდა მთავარ სამიზნე ჯგუფთან - სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელ ქალებთან. სულ ჩატარდა ექვსი ფოკუსჯგუფი, თითო - თითოეულ რეგიონში. მონაწილეები მიზნობრივად შეირჩა (თითო ჯგუფიდან 8-10 მონაწილე), რამაც უზრუნველყო სხვადასხვა გამოცდილების მქონე მონაწილეების ჩართვა. ფოკუსჯგუფებში სულ 45-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ექვსმა წარმომადგენელმა. ოთხი ფოკუსჯგუფი პირისპირ ჩატარდა, ორი (თბილისსა და შიდა ქართლში) - ონლაინ, მონაწილეების სურვილის გათვალისწინებით. თითოეული დისკუსია დაახლოებით 1.5 საათს გაგრძელდა. სესიები ჩაწერილ იქნა მონაწილეთა თანხმობის საფუძველზე, შემდგომ კი ტრანსკრიპტები მომზადდა.

ფოკუსჯგუფებთან ერთად, ჩავატარეთ 34 სიდრმისეული ინტერვიუ: 7 ინტერვიუ ქალებთან, რომლებიც მაღალ კორპორატიულ თანამდებობებზე არიან, 14 სოციალური მედიის კონტენტის შემქმნელ და ციფრულ ბიზნესში ჩართულ ქალებთან, 13 - თემატურ ექსპერტებთან და რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან. ინტერვიუების რესპონდენტები მიზნობრივი შერჩევისა და “თოვლის გუნდის” მეთოდის კომბინაციით შეირჩა.

ფოკუსჯგუფებისა და ინტერვიუებიდან მიღებული მონაცემების ანალიზისთვის გამოვიყენეთ თემატური ანალიზი. აღნიშნული მეთოდი მოიცავდა მონაცემებს შორის პატერნების (თემების) იდენტიფიცირებასა და ანალიზს. თავდაპირველად, მკვლევარებმა დეტალურად წაიკითხეს ტრანსკრიპტები და მნიშვნელოვანი კონცეპტების იდენტიფიცირების მიზნით კოდირება განახორციელეს. შემდგომში აღნიშნული კოდები დაჯგუფდა უფრო ფართო თემებში, რომლებიც მონაწილეთა დისკუსიებში განმეორებითად დაფიქსირებულ იდეებსა და მიგნებებს ასახავდა.

მეორე ცხრილში შეჯამებულია შეგროვებულ მონაცემთა სრული სურათი და კვლევაში ჩართულ მონაწილეთა რიცხვი.

სამიზნე ჯგუფი	მონაცემთა შერჩევის მეთოდი	რაოდენობა	ჩატარების მეთოდი/რეჟიმი
ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაში მცირე და საშუალო ბიზნესების ხელმძღვანელი ქალები	გამოკითხვა	228	ონლაინ
მაღალ კორპორატიულ როლებზე დასაქმებული ქალები	ფოკუსჯგუფი	6	პირისპირ/ონლაინ
სოციალური მედიის კონტენტის შემქმნელი და ციფრულ ბიზნესში ჩართული ქალები	სიდრმისეული ინტერვიუ	7	ონლაინ
თემატური ექსპერტები და დაინტერესებული მხარეები	სიდრმისეული ინტერვიუ	14	ონლაინ
	ძირითად ინფორმანტთა ინტერვიუ	13	ონლაინ

### 3.3. კვლევის ეთიკა

ეთიკურ მიდგომას კვლევის ყველა ასპექტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და განსაზღვრავდა მეთოდოლოგიას, მონაცემთა შერჩევის პროცესსა და მონაწილეებთან ინტერაქციას. ჩვენ უზრუნველყოფთ მონაცემთა ხარისხსა და კონფიდენციალურობას მონაცემთა ეთიკური პრინციპების დაცვით. ჩვენი მსხვერპლზე ორიენტირებული მეთოდოლოგია გულისხმობდა მონაწილეთა ხმის გაქურებასა და მათი უსაფრთხოებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას კვლევის პროცესში. ასევე, მეთოდოლოგია შეძლებისდაგვარად ორიენტირდებოდა ინტერსექციულობაზე, რათა მრავალფეროვანი გამოცდილებები აგვესახა. მონაწილეების მხრიდან ინფორმირებული თანხმობა გადამწყვეტი იყო; მონაწილეები სრულად იყვნენ ინფორმირებული კვლევის შინაარსის, რისკებისა და სარგებლის შესახებ, რაც მათ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აძლევდა.

### 3.4. კვლევის შეზღუდვები

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რომელიც შედეგების განზოგადებასა და ინტერეპრეტაციაზე ახდენს გავლენას.

პირველ რიგში, ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გაზომვის (ოპერაციონალიზაციის) ერთიანი მიდგომის არარსებობა, განსაკუთრებით კი საქართველოს კონტექსტში, გამოწვევას წარმოადგენდა. გაზომვის სტანდარტიზებული ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიების არარსებობამ, არსებული ძალადობის გავრცელების მასშტაბის ადეკვატურად შეფასებისა და სხვადასხვა კონტექსტში შედარების საშუალება შეზღუდა.

გარდა ამისა, სამიზნე ჯგუფთან წვდომა (მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელი ქალები) მკვლევართა გუნდისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. შერჩევისთვის გამოყენებულ იქნა საქსტატის ბიზნეს რეესტრი, რაც არაუფექტური აღმოჩნდა, რადგან დიდწილად არასწორ საკონტაქტო ინფორმაციას მოიცავდა, ეს კი რესპონდენტებთან წვდომას ართულებდა. შედეგად,



პასუხების შესაგროვებლად, მკვლევართა გუნდს სხვადასხვა სტრატეგიის დანერგვა მოუწია, მათ შორის ბიზნეს ასოციაციებისა და პირადი კონტაქტების გამოყენება. განსაკუთრებით რთული იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ჩართვა, რის გამოც შერჩევაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ რესპონდენტთა რაოდენობა მცირეა.

ამასთან, სამიზნე ჯგუფი კვლევის მიმართ ნაკლებ ინტერესს გამოხატავდა, ხშირად კი მონაწილეობაზე უარს ამბობდნენ. ზემოაღნიშნული უმეტესად განპირობებული იყო სეზონურობის გამო მათი ბიზნესისადმი მაღალი მოთხოვნით, ზოგადი მოუცლევლობით და კვლევის საკითხის მიმართ ინტერესის არ ქონით. ამასთან, კვლევის მონაცემების შეგროვება დაემთხვა საქართველოში პოლიტიკურად კრიტიკულ პერიოდს<sup>8</sup>, რომელიც მოიცავდა მასიურ საპროტესტო აქციებს, რამაც მონაწილეებისთვის კვლევის რეგულაციური ადჟმა კიდევ უფრო შეამცირა. ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეები უცნობი ნომრებიდან პოლიტიკურად მოტივირებული, მუქარის შემცველ ზარებს იღებდნენ.<sup>9</sup> ამან რესპონდენტთა გამოპასუხება საგრძნობლად შეამცირა, რადგან უცნობი კონტაქტებისგან ზარის პასუხს თავს არიდებდნენ.

აღნიშნულმა ფაქტორებმა კვლევის შერჩევაზე იმოქმედა, განსაკუთრებით კი რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში. ამის გამო, უფრო მცირე რაოდენობის მონაწილეთა ჩართვა მოვახერხეთ გამოკითხვაში, ვიდრე ეს შერჩევით იყო გათვალისწინებული, რამაც შეიძლება სამიზნე პოპულაცია ადეკვატურად ვერ ასახოს. მცირე ზომის შერჩევა ართულებს გამოკითხული მონაცემების ანალიზსა და ინტერპრეტაციას და არ იძლევა ქვეჯგუფების მიხედვით ჩამოყალიბებული ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას.

---

<sup>8</sup> 2024 წლის 14 მაისს, საქართველოს მთავრობამ საბოლოოდ მიიღო სადავო კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. კანონი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც უცხოეთიდან იღებენ დაფინანსებას აიძულებს დარეგისტრირდნენ როგორც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“. ეს იყო მსგავსი კანონმდებლობის შემოღების მეორე მცდელობა, რომელსაც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ონლაინ და ოფლაინ პროტესტი ახლდა თან.

<sup>9</sup> Opponents of Georgia's "foreign agent" bill face threats and insults via phone calls: <https://jam-news.net/opponents-of-georgias-foreign-agents-bill-threatened/>

## 4. საქართველოს კონტექსტი

### 4.1. ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული მონაცემები საქართველოში

საქართველოს კონტექსტში ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული კვლევების მიმოხილვამ გამოავლინა, რომ არ არსებობს სრულფასოვანი კვლევა, რომელიც სრულად ამ საკითხზეა ორიენტირებული. ეს აფერხებს არა მხოლოდ ამ პრობლემის საფუძვლიანად გაგებას, არამედ ზღუდავს საქართველოში მცხოვრები მსხვერპლებისთვის მხარდაჭერის ადეკვატური მექანიზმების და პოლიტიკის შემუშავებას. მიუხედავად ამისა, რამდენიმე რელევანტური ანგარიში მაინც გვთავაზობს ღირებულ ინფორმაციას საქართველოში ქალებისადმი ონლაინ ძალადობის მზარდი პრობლემის შესახებ. ტექნოლოგიებით განხორციელებული ძალადობის ზრდასთან ერთად, იზრდება კვლევებისა და ქართულ კონტექსტზე მორგებული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინტერვენციების საჭიროებაც.

ინფორმაციის მთავარი წყარო არის “ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022”, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციამ საქსტატთან და WeResearch-თან ერთად ჩაატარა. მართალია, აღნიშნული კვლევა კონკრეტულად ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობაზე არაა ფოკუსირებული, თუმცა მასში ხაზი გაესვა ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობის მზარდ ხასიათს, მათ შორის ონლაინ სექსუალურ იძულებას ან გამოძალვას, შანტაჟსა და პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელებას.<sup>10</sup>

ამ უფრო ფართო კონტექსტზე დაყრდნობით, მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ მომზადებული ანგარიში “სექსისტური ენა და გენდერული დეზინფორმაცია 2023”<sup>11</sup> ონლაინ გენდერულ აგრესიას უფრო დეტალურად განიხილავს. ანგარიშმა გამოავლინა კვლევის პერიოდში აღმოჩენილი სექსისტური და ჰომოფობიური განცხადებების 5 695 შემთხვევა, რომელთა პიკიც პოლიტიკურად დატვირთული მოვლენების დროს იყო, მაგალითად პრაიდ კვირეულსა და საქართველოს ევროკავშირის კანდიდატობასთან დაკავშირებული დისკუსიების დროს.<sup>12</sup> გარდა ამისა, 2023 წელს იდენტიფიცირებულ იქნა გენდერული დეზინფორმაციის 62 შემთხვევა, რომელთაგან 37 ჰომოფობიური იყო, 25 კი ქალებზე მორალური კრიტიკით თავდასხმის ნიშნებს შეიცავდა.<sup>13</sup>

ამასთან, იარნეცკის, სესკურიას და ჩიხლაძის ანგარიში “კიბერდანაშაულის გამოცდილება საქართველოში” გვთავაზობს კონკრეტული ჯგუფების მოწყვლადობის შესახებ ანალიზს, მათ

<sup>10</sup> National Study on Violence against Women in Georgia 2022. pp.140 [https://eca.unwomen.org/sites/default/files/2023-12/georgia\\_vaw\\_survey\\_report\\_eng.pdf](https://eca.unwomen.org/sites/default/files/2023-12/georgia_vaw_survey_report_eng.pdf)

<sup>11</sup> MDF. Sexist Language and Gendered Disinformation. 2023 <https://mdfgeorgia.ge/uploads//Gender1%20Report-ENG.pdf>

<sup>12</sup> Ibid. pp.7

<sup>13</sup> Ibid. pp.8

შორის, ქალებისა და მცირე და საშუალო ბიზნესების წინაშე მდგარი მოწყვლადობების შესახებ. მართალია, ანგარიში მხოლოდ ძალადობაზე არაა ორიენტირებული, თუმცა აღნიშნულია, რომ ფოკუსჯგუფის დისკუსიაში ჩართული 12 მონაწილედან ცხრამ აღნიშნა, რომ ქალები მეტად არიან კიბერკრიმინალის მსხვერპლობის რისკის ქვეშ მიმდინარე ან ყოფილი რომანტიკული პარტნიორობის მხრიდან.<sup>14</sup> მონაცემები ხაზს უსვამს ძალადობის გაზრდილ რისკებს, რასაც ქალები ონლაინ სივრცეებში აწყდებიან.

“საფარის” მიერ ჩატარებულმა უახლესმა კვლევამ საკანონმდებლო ხარვეზები და სამართალდამცავ პრაქტიკაში არსებული სისტემური პრობლემები გამოავლინა. ამასთან, ხაზი გაუსვა მსხვერპლთათვის არასაკმარის მხარდაჭერის სისტემასა და უწყებებს შორის კოორდინაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. გარდა ამისა, ანგარიშში აღნიშნულია პოზიტიური ძალისხმევა, რაც გენდერული დისკრიმინაციის მოტივების გადასაჭრელად და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მსხვერპლზე ორიენტირებული საგამოძიებო მიდგომის გაუმჯობესებაში გამოიხატება.<sup>15</sup>

მართალია, აღნიშნული ანგარიშები ერთობლივად ღირებულ ინფორმაციას ქმნიან, თუმცა სრულფასოვანი, ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობაზე ორიენტირებული კვლევა საქართველოში არ არსებობს, რაც ხაზს უსვამს დამატებითი კვლევის საჭიროებას.

## 4.2. ბიზნესში ჩართული ქალები საქართველოში: მიმოხილვა

საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს მიმოხილვა მნიშვნელოვან გენდერულ უთანასწორობას გამოკვეთს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მამაკაცების მიერ დაფუძნებული ბიზნესები ორჯერ მეტია ქალების საკუთრებაში არსებული საწარმოების წილზე. 2022 წელს, ახალი შექმნილი საწარმოებიდან, მხოლოდ 24.7% იყო ქალების მფლობელობაში.<sup>16</sup> 2023 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მეწარმე ქალთა კვლევა აჩვენებს, რომ ქალები ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიური საწარმოების მხოლოდ მესამედს (33%) ფლობენ.<sup>17</sup> მიუხედავად იმისა, რომ ქალები უმაღლესი განათლების მაჩვენებლით კაცებს აღემატებიან, კომპანიების მხოლოდ 11.5%-ს ჰყავს უპირატესად ქალი დასაქმებული და მხოლოდ 16.5%-ს ყავს ქალები ტოპ მენეჯმენტის როლებში. ეს კი ხაზს უსვამს ქალების ნაკლებ წარმომადგენლობას ხელმძღვანელ თანამდებობებსა და მფლობელობას შორის.<sup>18</sup>

<sup>14</sup> “The Experience of Cybercrime in Georgia” by Jarnecki, Seskuria, and Chikhladze. pp.16 <https://www.riss.ge/en/publications/the-experience-of-cybercrime-i.html-1>

<sup>15</sup> Sapari. 2024. Response to crimes related to violation of women's privacy: <https://sapari.ge/kvleva-kalta-mimart-piradi-cxovrebis-khelkopastan-dakavshirebul-danashaulebze-reagireba/>

<sup>16</sup> Geostat, Gender Portal, Business Statistics, 2022: <https://gender.geostat.ge/gender/index.php?action=Business%20Statistics>

<sup>17</sup> UN Women and ILO. 2023. Survey on Women Entrepreneurs in Georgia. <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2023/05/survey-of-women-entrepreneurs-in-georgia>

<sup>18</sup> Ibid

როგორც წესი, ქალები მცირე ზომის საწარმოებს მართავენ. მცირე ბიზნესების 20%-ზე ნაკლებს ჰყავს ქალი ტოპ მენეჯერი და ეს მაჩვენებელი საშუალო და მსხვილ ბიზნესებში 10%-მდე მცირდება. გარდა ამისა, მსხვილი კომპანიების 1%-ზე ნაკლებს ჰყავს უპირატესად ქალი სამუშაო ძალა. სექტორის განაწილება გვიჩვენებს ქალების მიერ მართული ბიზნესების კონცენტრაციას ვაჭრობის სექტორში, რომელიც ამ საწარმოების 59%-ს მოიცავს, რაც ხშირად მათ მცირე ზომაზე მიუთითებს.<sup>19</sup>

ქალების მართვაში არსებული ბიზნესის უმრავლესობა დამოუკიდებლადაა წამოწყებული (89%) და ხშირად მუშაობს, როგორც დამოუკიდებელი საწარმო. გარდა ამისა, ბევრი ქალი მეწარმე საშინაო შრომაზეც არის პასუხისმგებელი, რაც იმაში გამოიხატება, რომ 22% ზრუნავს ბავშვებზე ან სხვა ოჯახის წევრებზე. ეს კი მიანიშნებს ბიზნესისა და ოჯახური პასუხისმგებლობების ბალანსის კუთხით არსებულ გამოწვევებზე.<sup>20</sup>

გამოკითხვის ფარგლებში ასევე იკვლიეს თუ რამდენად იყენებენ საქართველოში საკუთარ ბიზნესის საქმიანობაში ქალი მეწარმეები ტექნოლოგიებს. კვლევის მონაცემების მიხედვით, გამოკითხული ქალების 76% იყენებს ისეთ ციფრულ ტექნოლოგიებს, როგორებიცაა სმარტფონები, კომპიუტერები და ტაბლეტები. სმარტფონები მათგან ყველაზე პოპულარულია და მათ მეწარმეთა 60% იყენებს, რასაც მოყვება ლეპტოპები (37%) და კომპიუტერები (33%). მიუხედავად ამისა, მოწყობილობების უბრალო, ზედაპირული გამოყენების მიღმა ციფრული ჩართულობა იშვიათია. მხოლოდ 32%-ია ინტერნეტ სივრცეში წარმოდგენილი ვებგვერდებისა და სოციალური მედიის სახით, ხოლო უფრო მცირე ნაწილი, 23%, თავის პროდუქტებსა და სერვისებს ონლაინ რეჟიმში ყიდის.<sup>21</sup>

ახალგაზრდა ქალები, ქალები რომლებიც დედაქალაქში ცხოვრობენ და უმაღლესი განათლების მქონე ქალები მეტად იყენებენ აღნიშნულ ციფრულ ტექნოლოგიებს. ამასთან, ეს ჯგუფები უფრო აქტიურები არიან ონლაინ გაყიდვებისა და ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენების კუთხით. კვლევამ ასევე გამოავლინა ქალ მეწარმეთა შორის ზოგადი ენთუზიაზმი, განივითარონ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარები. გამოკითხულთა უმრავლესობა საკუთარ ბიზნეს ოპერაციებში ტექნოლოგიების გამოყენებით დაინტერესებულია.<sup>22</sup>

კვლევამ გააანალიზა ქალთა მმართველობაში მყოფი მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების დონე ინდექსის მეშვეობით, რომელიც 0-დან (გაციფრულების არარსებობა) 38-მდე (სრული გაციფრულება) მერყეობს და აფასებს ბიზნეს ოპერაციებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას, ინტერნეტ სივრცეში არსებობას და ციფრულ კომერციულ აქტივობებს. საშუალო ქულა შესამჩნევად დაბალია - 10.2, რაც მიუთითებს გამოკითხულ მეწარმეთა შორის ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ზოგად დაბალ დონეს. ინდექსი კიდევ უფრო გამოკვეთს განსხვავებებს ასაკის, განათლებისა და გეოგრაფიული მდებარეობის

---

<sup>19</sup> Ibid

<sup>20</sup> Ibid

<sup>21</sup> Ibid

<sup>22</sup> Ibid

მიხედვით. ანალიზმა აჩვენა, რომ ახალგაზრდა, მეტად განათლებული და თბილისში მცხოვრები მეწარმეები ციფრულად უფრო მეტად ჩართულები არიან.<sup>23</sup>

---

<sup>23</sup> Ibid

## 5. კვლევის მიგნებები

### 5.1. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში


#### ძირითადი მიგნებები:

- გამოკითხული ქალების უმრავლესობა (88.6%) ბიზნეს ოპერაციებისთვის ტექნოლოგიებს იყენებს, მათგან 60% - აქტიურად, თითქმის ყოველ დღე. ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექნოლოგიებია სმარტფონები (77.2%) და ინტერნეტი (76.3%).
- ბიზნესში ჩართული ქალები ციფრულ პლატფორმებს სხვადასხვაგვარად იყენებენ ბიზნესის ზომის, სამიზნე ჯგუფისა და ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნის დონის მიხედვით. მცირე ზომის საწარმოები ინფორმაციის გავრცელების მიზნით ხშირად იყენებენ სოციალური მედიის პლატფორმებს, მაგალითად Facebook-სა და Instagram-ს, დიდი კომპანიები კი საკუთარ სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებულ, ნიშურ პროგრამებს იყენებენ.
- ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენების მიუხედავად, ბევრი ქალი აწყდება ისეთ გამოწვევებს, როგორებიცაა სოციალური მედიის მართვის, ციფრული კომუნიკაციებისა და ონლაინ ნეგატიური უკუკავშირის მართვის ცოდნის სიმცირე. ამასთან, კვლევის მონაწილეებში გამოვლინდა ციფრულ უსაფრთხოებასა და ძალადობასთან დაკავშირებული შიში და ინფორმაციის ნაკლებობა, რაც ხაზს უსვამს სპეციალიზებული პერსონალისა და უკეთესი რესურსების არსებობის საჭიროებას ციფრული ინტერაქციების ეფექტურად მართვისთვის.


გამოკითხული ქალების უმრავლესობა (88.6%) ბიზნეს ოპერაციებისთვის ტექნოლოგიებს იყენებს, მათგან 60% - აქტიურად, თითქმის ყოველ დღე; 22% იყენებს, თუმცა არა ყოველდღიურად. 3%-მა აღნიშნა, რომ იშვიათად იყენებს ტექნოლოგიებს, 15%-ის თქმით კი, მათი ბიზნესი სრულად ციფრულია. ყველაზე ხშირად გამოყენებული ტექნოლოგიებია სმარტფონები (77.2%) და ინტერნეტი (76.3%), რასაც მოყვება ციფრული პლატფორმები და ლეპტოპები (სურათი 3).

სურათი 3: ტექნოლოგიებისა და ციფრული პლატფორმების გამოყენება ბიზნესში

ტექნოლოგიების გამოყენება



ციფრული პლატფორმების გამოყენება ბიზნესში



ბიზნესში ჩართული ქალები ციფრულ პლატფორმებს ოპერაციების ტიპის, სამიზნე ჯგუფისა და ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნის დონის მიხედვით სხვადასხვაგვარად იყენებენ. პრაქტიკულობა განაპირობებს სოციალური მედიის პლატფორმების გამოყენებას ბიზნესის პოპულარიზაციისთვის მცირე საწარმოებს შორის. რაოდენობრივმა და თვისებრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ქალი მეწარმეები ხშირად იყენებენ სოციალური მედიის პლატფორმებს, მაგალითად Facebook-სა და Instagram-ს, მომხმარებლების დიდი ბაზისა და პოტენციურ მომხმარებლებზე მარტივი წვდომის გამო. რაც შეეხება დიდ კომპანიებს, ისინი საკუთარ სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებულ ნიშურ პროგრამებს იყენებენ. გარდა ამისა, რადგან ჩვენი შერჩევა ძირითადად ტურიზმის ინდუსტრიაში მომუშავე ქალებზე იყო


ორიენტირებული, Booking.com ბევრჯერ დასახელდა, როგორც მონაწილეების მხრიდან აქტიურად გამოყენებული პლატფორმა.

*"რადგან მეგობრები ფეისბუქზე მყავს, იქ გავაკეთე [ბიზნესი], თან ინფორმაციების მოძიებაც მარტივი იყო. იქ არის ფეის მენეჯერი, რომელიც გთავაზობს ინსტაგრამიც მიაბა და მაგიტომ გავაკეთე. ფეისბუქი იმიტომ ავარჩიე, რომ უხვი რაოდენობა ჰყავს მომხმარებლების და ის კატეგორია, რომელიც მომხმარებლად მყავს, ასევე ფეისბუქს იყენებს." (ინტერვიუ, ციფრული ბიზნესის მფლობელი ქალი)*

გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტები ტექნოლოგიებს უმრავლესად მარკეტინგისა და გაყიდვებისთვის იყენებენ (68%), ასევე მომხმარებლებთან კომუნიკაციისა და სერვისის მიწოდებისთვის (51%), პოტენციური მომწოდებლების მოსაძებნად (34%) და შიდა კომუნიკაციისთვის (36%). თვისებრივმა მონაცემებმა გამოავლინა, რომ ტექნოლოგიები ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელებისთვისაც გამოყენება, ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ იყენებს YouTube-სა და Messenger-ს, რათა სოფლის მეურნეობის პრაქტიკების შესახებ ცოდნა გაიღრმავოს და სხვა ფერმერებს გამოცდილება გაუზიაროს.

კვლევაში მონაწილე ქალთა მცირე ნაწილი საერთოდ არ იყენებს საკუთარი ბიზნესისთვის ტექნოლოგიებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ციფრულ ინსტრუმენტებზე ნაკლებად იმიტომ არიან დამოკიდებულები, რომ უკვე ჩამოყალიბებული მომხმარებელთა ბაზა აქვთ და სიტყვიერი რეკომენდაციებით ავრცელებენ ინფორმაციას.

სურათი 4: ტექნოლოგიების ბიზნესში არ გამოყენების მიზეზები





*“მე არ ვიყენებ ბიზნესისთვის (ტექნოლოგიებს), იმიტომ რომ ჩვენ უკვე წლებია უამრავი კლიენტები გვყავს, სასომხეთიდანაც მოდიან, სადახლოდანაც, თბილისიდანაც და პირდაპირ უზოდან მიაქვთ ახალი დაკრეფილი მარწყვი. ასე რომ არ მჭირდება, ისე ვიყენებ ფეისბუქს საკომუნიკაციოდ. როცა დავიწყებ მარწყვის კრეფას, შეიძლება დავკრიფო და დავდო სთორიზე და მწერენ აბა გაქვს მარწყვი, ყიდი? და ა.შ, თორემ გაყიდვისთვის, ბიზნესისთვის არ ვიყენებ.”*  
(ფოკუსჯგუფის მონაწილე)

ბევრმა ქალმა დაასახელა ისეთი სირთულეები, როგორებიცაა სოციალური მედიის მართვის, ციფრული კომუნიკაციისა და ნეგატიურ უკუკავშირთან ონლაინ გამკლავების კუთხით ცოდნის ნაკლებობა, რაც ასევე გაზრდილ სტრესთანაა დაკავშირებული. კვლევის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს სპეციალიზებული პერსონალის არსებობის საჭიროებას ციფრული კომუნიკაციისა და კლიენტთა მომსახურების ეფექტურად მართვისთვის. გარდა ამისა, კვლევის მონაწილე ქალებში გამოვლინდა ციფრულ უსაფრთხოებასა და ძალადობასთან დაკავშირებული შიში და ინფორმაციის ნაკლებობა, რაც გამომდინარეობს აღქმიდან, რომ ციფრული სამყარო საშიში და უკონტროლოა, და პერსონალური ინფორმაციის გავრცელების რისკებს ზრდის. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი ზრდა კიდევ ერთი მიზეზია, რაც ართულებს ციფრული უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკებთან დაწევას.

## 5.2. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა ბიზნეს გარემოში

### ძირითადი მიგნებები:

- ცნობიერება ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შესახებ ბიზნესში დასაქმებულ ქალებს შორის განსხვავდება. რესპონდენტთა 60%-ს სმენია ასეთი ტიპის ძალადობის შემთხვევების შესახებ, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავება გამოჩნდა თბილისსა და რეგიონებში მცხოვრებ რესპონდენტთა შორის. ბევრი მონაწილისთვის ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა ასოცირდება ონლაინ ბულინგთან და ხშირად ვერ აიდენტიფიცირებენ გენდერულ ასპექტს. გარდა ამისა, ბიზნესში ჩართული ქალების წინაშე არსებული ზოგადი გამოწვევების დაკავშირება ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან როგორც წესი ვერ ხერხდებოდა.
- რესპონდენტთა 76%-ს თავად გამოუცდია ან იცნობს ისეთ ადამიანს, რომელსაც გამოუცდია ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის სულ მცირე ერთი ფორმა ან ტაქტიკა, ბიზნეს კონტექსტში თუ მის მიღმა. ბულინგი და სიძულვილის ენა, ცილისწამება და ადევნება ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ყველაზე ხშირად გამოცდილი ფორმებია, დაჰაკვა და არასასურველი შეტყობინებები კი ის ტაქტიკებია, რომლებსაც რესპონდენტები


ყველაზე ხშირად აწყდებიან.

- რაც შეეხება ბიზნეს კონტექსტში განცდილ ძალადობას, ცილისწამება ყველაზე ხშირად დაფიქსირებული ფორმა აღმოჩნდა - რესპონდენტთა 9.2%-ს პირადად განუცდია, 13.6% კი იცნობს ქალს რომელსაც ეს ფორმა გამოუცდია. კვლევის მონაწილეების გამოცდილების თანახმად, როგორც წესი, ამ კონტექსტში ძალადობა ჰაკინგისა და არასასურველი შეტყობინებების ტაქტიკების საშუალებით ხორციელდებოდა.
- ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის განმანორციელები ყველაზე ხშირად უცნობი ადამიანები არიან, რომლებიც კვლევის მონაწილეთა ბიზნესთან არ არიან დაკავშირებული (40.2%), რაც ახსნადია, რადგან კვლევის მონაწილეები ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობაში უმეტესწილად ონლაინ ბულინგს გულისხმობდნენ. გარდა ამისა, ქალებს მსგავსი ტიპის ძალადობა განუცდიათ ყოფილი პარტნიორების, გავლენიანი და ძალაუფლების მქონე პირების მხრიდანაც.
- ციფრულ პლატფორმებში უზრუნველყოფილი ანონიმურობა და ეფექტური მხარდაჭერის მექანიზმების სიმცირე მოძალადეებს ახალისებს, მსხვერპლებს კი იზოლირებულსა და მხარდაჭერის გარეშე ტოვებს. ეს კი გენდერულ სტერეოტიპებსა და ონლაინ უსაფრთხოების ცოდნის კუთხით არსებული გამოწვევებთან ერთად, ქალებს ძალადობის მიმართ უფრო მოწყვლადებს ხდის.

### 5.2.1. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერება ბიზნესში დასაქმებულ ქალებს შორის

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მონაწილეებს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის სხვადასხვაგვარი გაგება აქვთ. გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტთა 60%-ს სმენია ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შემთხვევების შესახებ, თითქმის მეხუთედს (18%) კი - არა. უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება შეინიშნება საცხოვრებლის მიხედვით: როგორც სურათ 5-ში ჩანს, თბილისში მცხოვრები მონაწილეები უფრო ინფორმირებულები არიან მსგავსი ტიპის შემთხვევებზე, ვიდრე რეგიონში მცხოვრებნი (80% თბილისი, 63% - რეგიონი,  $p < 0.05$ ).

სურათი 5: TFGBV-ის შესახებ ცნობიერება გამოკითხვის მონაწილეებში



გარდა ამისა, გამოკითხულ ქალთა 53% თვლის, რომ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა ძალიან ან მეტნაკლებად გავრცელებული პრობლემაა საქართველოს ბიზნეს გარემოში. მიუხედავად ამისა, მონაწილეთა თითქმის მესამედს ამ საკითხზე მოსაზრება არ აქვს, ასეთი ადამიანების რიცხვი კი პროპორციულად უფრო მაღალია რეგიონებში მცხოვრები რესპონდენტების შემთხვევაში (34% რეგიონი და 18% თბილისი).<sup>24</sup>

მართალია, რაოდენობრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობას სმენია ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შემთხვევების შესახებ და მათი ნახევარი ამ საკითხს საქართველოს ბიზნეს გარემოსთვის გავრცელებულ პრობლემად მიიჩნევს, თუმცა სიღრმისეულმა თვისებრივმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ძალადობის ამ ფენომენის ზოგადი გაგება კვლავ შეზღუდულია. კვლევის მონაწილეები ძალადობას ძირითადად ონლაინ ბულინგის გამოცდილებასთან აკავშირებენ და უჭირთ მასში გენდერული დინამიკის დანახვა. მიუხედავად ამისა, მაგალითები, რომლებიც მათ გაიხსენეს დისკუსიების დროს, ხშირად მოიცავდა გენდერულ შინაარსს, რაც ხაზს უსვამს, რომ მსგავსი ტიპის ბულინგი, ხშირად გენდერულად სპეციფიკურ მოლოდინებსა და სტერეოტიპებს მიემართება.

*“ბევრი რამე შეიძლება იყოს (ამ ტერმინის ქვეშ), მარტო ის თუნდაც, რომ ‘ქალო წადი ბავშვებს მიხედუ, დაიძინე, დედა ხარ, რა გინდა ფეისბუქში ამ დროს, 2 საათზე..’ როცა ქალს მაშინ სცალია ზუსტად. თუნდაც მხოლოდ ფოტო დადო და ‘რას გავხარ’, დაგიკომენტარონ, ‘გასუქდი’ და ა.შ.” (ფოკუსჯგუფის მონაწილე)*

<sup>24</sup> ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ეთნიკურ უმცირესობებთან შედარებით (52%), ეთნიკურად ქართველებს (70%) TFGBV-ის შესახებ უფრო მაღალი ინფორმირებულობა აქვთ: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თითქმის მესამედს (31%) არ სმენია TFGBV-ის შესახებ, ქართველების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 11%-ია. ინფორმირებულობა ასევე უფრო მაღალია მათ შორის, ვინც ბიზნესში ტექნოლოგიებს იყენებს (70%), ვიდრე მათი, ვინც არ იყენებს (46%). თუნდაც ეს მონაცემები მცირე შერჩევანა გამოთვლილი ი (ეთნიკური უმცირესობა) = 29 და n (ადამიანები, ვინც ტექნოლოგიებს არ იყენებენ) = 26, ამიტომ შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ამ მონაცემის მთელ პოპულაციაზე განზოგადება შეუძლებელია, აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვანია ტენდენციების იდენტიფიცირებისა და შემდგომი გამოკვლევისთვის.

ამასთან, დისკუსიებითა და ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ მონაწილეები ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობას პრობლემად ძირითადად ცნობადი ადამიანებისთვის, მაგალითად, სოციალური მედიის ინფლუენსერებისთვის ან კონტენტ კრეატორებისთვის აღიქვამენ. მათ მათალ ხილვადობას უკავშირებენ ონლაინ ბულინგის გაზრდილ რისკს, და ძალადობას ბიზნეს ან პროფესიულ კონტექსტში ნაკლებად განიხილავენ. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეთა თქმით, ზოგ შემთხვევაში, ინფლუენსერები ონლაინ ბულინგს ჩართულობისა და ხილვადობის ზრდისთვისაც შეიძლება იყენებდნენ. მსგავსი ნარატივი მიაჩნია, რომ შესაძლოა, ონლაინ ბულინგი გარკვეულწილად ნორმალიზებულია და ძალადობის ფორმად ნაკლებად აღიქმება.

*“[ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა] უფრო ხშირი არის გასართობ ვლადტფორმებზე, ალბათ ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტიკ-ტოკი, სადაც უფრო მეტად არის ‘ფაბლიკ’ პროფილები და ამ შემთხვევაში მარტივია [ბულინგი].” (ინტერვიუ, ციფრული ბიზნესის მფლობელი)*

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ბიზნეს კონტექსტში განხილვისას, მონაწილეები ზოგად გამოწვევებსა და ქალების წინაშე მდგარ პრობლემებზე საუბრობენ, მათ შორის კიბერუსაფრთხოების საკითხზეც, თუმცა უჭირთ ამ პრობლემების ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირება. მაგალითად, მონაწილეებმა ახსენეს ბიზნესში ჩართული ქალების მიმართ არსებული სტერეოტიპები, მათ შორის, ისიც, რომ სერიოზულად არ აღიქმებიან და ისიც, თუ როგორ ვლინდება მსგავსი შეხედულებები ონლაინ ბულინგში. მთლიანობაში, დისკუსიებმა გამოავლინა, რომ კვლევის მონაწილეები ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობას ბიზნესში ჩართული ქალებისთვის ყველაზე ნაკლებ პრობლემად აღიქვამენ და ხაზს უსვამენ სხვა უფრო მნიშვნელოვან საჭიროებებს, რაც მათ აწუხებთ.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ექსპერტებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველოში ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით დაბალ ინფორმირებულობას. ისინი აღნიშნავენ, რომ, მართალია, დიდი ბიზნეს კორპორაციები ხშირად დებენ რესურსს თანამშრომლების ციფრული უსაფრთხოების კუთხით გადამზადებაში, თუმცა აღნიშნული ტრენინგები ნაკლებად მოიცავს გენდერულ ასპექტებს. მეტიც, მათი თქმით, უმეტესად აღიქმება, რომ ძალადობა ფიზიკურ სივრცეებში ხდება და რადგანაც ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა არ მოიცავს ფიზიკურ შევიწროებას, ის ძალადობის ფორმად არაა აღქმული.


*“ზოგადად, საზოგადოებაშიც ონლაინ ძალადობა არ აღიქმება ძალადობად. უფრო მეტად არის აღქმული, რომ ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა, რომელიც როცა ხდება, არ ნიშნავს, რომ რაღაც ტიპით გამოხატულია ძალადობის ფორმა. ძალადობა აღიქმება მაშინ, როცა გადადის ფიზიკურ ნაწილში და ფიზიკურ ნაწილში როცა გადადის, უკვე ძალიან დაგვიანებულია და იქამდე არასერიოზულად აღიქვამს არამხოლოდ საზოგადოება, არამედ ჩვენი კანონმდებლობაც.” (ინტერვიუ, დაინტერესებული მხარე)*

## 5.2.2. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გავრცელება და პატერნები ქართულ ბიზნეს გარემოში


ონლაინ გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტებს მივეცით ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ფორმებისა და ტაქტიკების ჩამონათვალი (იხილეთ თავი 3.1) და დავუსვით კითხვა, პირადად თუ განუცდიათ რომელიმე ბიზნესს კონტექსტში ან მის მიღმა, ან თუ იცნობდნენ ვინმეს, ვისაც გამოუცდია მსგავსი რამ. პასუხებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა 76%-ს პირადად გამოუცდია ან იცნობენ ადამიანს, რომელსაც ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის სულ მცირე ერთი ფორმა, ან ტაქტიკა აქვს გამოვლილი, კონტექსტის მიუხედავად. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ ქალთა 45%-ს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის სულ მცირე ერთი ფორმა ან ტაქტიკა საკუთარ თავზე გამოუცდია პირადად ან პროფესიულ ცხოვრებაში.

ბულინგი და სიძულვილის ენა, ცილისწამება და ადევნება ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ყველაზე ხშირად დაფიქსირებული ფორმები აღმოჩნდა, დაჰაკვა და არასასურველი შეტყობინებები კი - ყველაზე ხშირად ნახსენები ტაქტიკები. გამოკითხვის შედეგებით, ძალადობის უმეტესი ფორმა და ტაქტიკა ბიზნეს კონტექსტს მიღმა უფრო ხშირად ფიქსირდება (სურათი 6). ეს მონაცემი თანხვედრაშია თვისებრივი კვლევის შედეგთან, რომლის მიხედვითაც, კვლევის მონაწილეებს უჭირთ ძალადობის ბიზნეს კონტექსტში აღქმა.

სურათი 6: TFGBV-ის ყველაზე ხშირად დასახელებული ფორმები და ტაქტიკები



ყველაზე ხშირად დასახელებული ტაქტიკები



საინტერესოა, რომ რესპონდენტები ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ფორმებს უფრო ხშირად იხსენებდნენ, ვიდრე - მის ტაქტიკებს. ეს შეიძლება აიხსნას მონაწილეებს შორის ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის კუთხით ინფორმირებულობისა და ცოდნის ნაკლებობით. ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა სექსუალური შევიწროება ან ადევნება უფრო ფართოდაა ცნობილი, ტაქტიკები კი შესაძლოა უფრო სპეციფიკური იყოს, რის გამოც რთულია მათი გახსენება და იდენტიფიცირება. გარდა ამისა, რესპონდენტები ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის კუთხით სხვების გამოცდილებას უფრო ხშირად იხსენებდნენ, ვიდრე საკუთარს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ადამიანები უფრო ხშირად განიცდიან ძალადობას. მეტიც, ზემოაღნიშნული შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ რესპონდენტები სხვების გამოცდილებაზე საუბრისას თავს უფრო კომფორტულად გრძობენ ფსიქოლოგიური თავდაცვის მექანიზმების, სოციალური სტიგმის ან სხვა მიზეზების გამო.

გამოკითხვის შედეგების მსგავსად, ინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფებშიც **ბულინგი და სიძულვილის ენა** ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ყველაზე ხშირად გახსენებადი ფორმები იყო, რაც, ხშირად სოციალურ მედიაში ნეგატიური კომენტარებით გამოიხატებოდა. ქალები ბულინგისა და სიძულვილის ენის მსხვერპლი სხვადასხვა გარემოში ხდებიან. მაგალითად, თუ ქალი არის კონტენტ კრეატორი, რომელიც სოციალური მედიის პლატფორმებზე სხვადასხვა ტიპის კონტენტს აზიარებს, მეტია რისკი, რომ ბულინგის მსხვერპლი გახდება. ასეთ შემთხვევებში, ბულინგისა და სიძულვილის ენის შინაარსი ხშირად გენდერულია და ორიენტირდება ქალის გარეგნობაზე ან მის უნარზე, შექმნას კონტენტი. ზოგ შემთხვევაში, აღნიშნული ბულინგი ფიზიკურ სივრცეშიც გრძელდებოდა და მოძალადეები მსხვერპლებს პირადად ხვდებოდნენ შევიწროების გაგრძელების მიზნით.

*“საკმაოდ ხშირია ხოლმე [ნეგატიური] შინაარსის კომენტარები, განსაკუთრებით, გენდერული ნიშნით რომ გამოვარჩიო, იუმორისტული ხასიათის კონტენტს ვაწარმოებ და*

*ის, რომ ქალებს ხუმრობა არ შეგვიძლია და საერთოდ ქალები უნდა გავჩუმდეთ, ძალიან ხშირად იწერება ეგ. ამას გარდა, ფიზიკურად რომ ვთქვა, მკერდი არ მაქვს მაგალითად და ეგ ტოპ მეორე კომენტარია სალანძღავი, და ამას წერენ როგორც ფეიქ ექაუნთები, ასევე კაცები.” (ინტერვიუ, კონტენტ კრეატორი)*

ქალები ბულინგისა და სიძულვილის ენის შემთხვევებს იხსენებდნენ ისეთ მოვლენებზეც, როცა სოციალური მედიის პლატფორმაზე სხვადასხვა თემებზე საკუთარი აზრი გააზიარეს. ფოკუსჯგუფის მონაწილეებიცა და ინტერვიუს რესპონდენტებიც აღნიშნავდნენ, რომ ბულინგის მსხვერპლი გამხდარან საკუთარი პოლიტიკური შეხედულების გამოც, განსაკუთრებით კი საქართველოში ბოლო პოლიტიკური კრიზისის პერიოდში. აღნიშნული ბულინგი გამოცადეს არა მხოლოდ ცნობილმა კონტენტ კრეატორებმა, არამედ სოციალური მედიის რიგითმა მომხმარებლებმაც, რომლებმაც საკუთარი აზრი პოსტების ქვეშ კომენტარებში დააფიქსირეს. ინფლუენსერები ბულინგის მსხვერპლი ხდებოდნენ მაშინაც, თუ საკუთარი კონტენტით არ აფიქსირებდნენ აზრს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ, და სიჩუმისთვის აკრიტიკებდნენ.

ზოგ შემთხვევაში ბულინგი ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის სხვა ფორმასა თუ ტაქტიკაში გადაიზრდებოდა, მაგალითად, როდესაც მოძალადეები აგრძელებდნენ მსხვერპლისთვის დარეკვას და მუქარას. ფოკუსჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ გაიხსენა მისი ახალი შემთხვევა, რომელიც მოიცავდა ბულინგსა და სიძულვილის ენას, ადევნებას და შევიწროებას, როგორც ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ფორმებს, ხოლო ტაქტიკების სახით - დოქსინგსა და არასასურველ შეტყობინებებს/ზარებს. ეს შემთხვევა ხაზს უსვამს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის კომპლექსურ ბუნებას, როცა ციფრული შევიწროება შეიძლება ონლაინ ბულინგიდან უფრო საშიშ და მუქარის შემცველ ქცევაში გადაიზარდოს.

*“მე მქონდა დაახლოებით 20 დღის უკან, რომ „რუსულ კანონზე“ იყო ლაპარაკი და კაცი და ქალი ლაპარაკობდნენ [ფეისბუქზე], იმ გოგოს არ ესმოდა რუსული და კაცი აფხაზეთში იყო. [კაცმა] მიწერა რომ ‘პუტინი არის მსოფლიო პრეზიდენტიო’. მე არასდროს არ ვერთვები, კომენტარებს არასდროს არ ვწერ, მივწერე ამ კაცს არ გრცხვენია მეტი და გადმოვიდა ჩემზე. მეც ხომ ვპასუხობდი რუსულად, ნერვები მომეშალა, გადმოვიდა ჩემი დაქალის პროფილზე და თხოვა ჩემი ნომერი, მოატყუა ვითომ ნათესავი ვარ და უნდა ჩამოვიდეო. გადმომირეკა, დღემდე მირეკავს, დაბლოკილი მყავს, მაგრამ ჩვეულებრივად შემოდის ზარი, რუსეთის ნომერია, ჯერ ხომ მაგინებდა, [მერე] მეუბნებოდა ძალიან მომწონხარ, რა კარგი ხარ.” (ფოკუსჯგუფის მონაწილე)*

ქალები იხსენებდნენ შემთხვევებს, როცა გამოცადეს ბულინგი, სიძულვილის ენა და იდენტობის გაყალბება, რაც ხშირად მოიცავდა დოქსინგს და ფოტოებით განხორციელებული ძალადობის ტაქტიკებს. მათ გაიხსენეს შემთხვევები, როცა მათი ფოტოები უნებართვოდ გამოქვეყნდა სხვადასხვა სოციალური მედიის ჯგუფებში, რასაც მოყვებოდა ბულინგი, ან მეტიც, მათ ფოტოებს მავნე მიზნებისთვის იყენებდნენ.

*“მე მქონია შემთხვევა, რომ იყენებენ ჩემს ფოტოებს, ვიდეოებს ბევრ გასაცნობ საიტზე. ეს ის საფრთხეებია, რომლებიც მოჰყვება ონლაინ ყოფნას. ჩემი სახელით საშინელ კომენტარებს სწერს ვიღაც მამაკაცს, სთხოვს შეხვედრებს.” (ინტერვიუ, კონტენტ კრეატორი)*

არასასურველი შეტყობინებების საშუალებით ადევნება კვლევის მონაწილეების მიერ ხშირად დაფიქსირებული ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა. ქალები ხშირად იღებდნენ არასასურველ და ზოგჯერ, შეურაცხმყოფელ ტექსტს, ფოტო ან ვიდეო შეტყობინებებს როგორც ნაცნობი, ისე უცნობი ადამიანების მხრიდან. აღნიშნული შეტყობინებები მათ ხშირად აგრძნობინებდა თავს უხერხულად და დისკომფორტს უქმნიდა, რასაც აძლიერებდა მსხვერპლის დადანაშაულების კულტურა. ეს მონაწილეებს ადევნების შემთხვევაზე ოჯახის წევრების რეაქციის ან ამ გამოცდილების გამო ისევ მათი დადანაშაულების შიშს უჩენდა. გარდა ამისა, დისკუსიებმა გამოავლინა, რომ ბევრ ქალს არ ჰქონდა სათანადო ცოდნა და უნარები, რათა მსგავსი შემთხვევებისგან თავი დაეცვა ონლაინ სივრცეში და ხშირად უწევდათ სხვებისთვის დახმარების თხოვნა, რათა ასეთი დამნაშავეები დაებლოკათ.

*“ვწევარ, დამუა და ერთი კაცი მწერს. წავშლი, მომწერს... ვიძახი, ჩემმა ქმარმა რომ აიღოს ტელეფონი რაღა ვენა, წადი და უმტკიცე ვინ არის, იცნობ თუ არა. ვერაფრით ვერ გავაჩერე [მიმოწერა]. არც ის არ ვიცი ამ ტელეფონში, როგორ დავბლოკო. ეს ტელეფონი გავიტანე, დავდე ცალკე ოთახში, გამოვურთე ხმა. არც ჩემმა შვილებმა მინდა გაიგონ, ამხელა ქალი ხარ და ვიღაცა კაცი მთელი დამე გწერს. დილით ავედი [მეზობელთან], ავუხსენი რაც იყო, ოღონდაც რამე მიშველე, ეს კაცი მომამორე მეთქი. მერე იმან წამიშალა. ეგ იყო და ეგ, მეც დავისვენე და იმანაც. გავათენე ნერვიულობით მთელი დამე, უნდა გაგიცნო და ესე და ესე. ძალადობაზე უარესი იყო.” (ფოკუსჯგუფის მონაწილე)*

ამასთან, მონაწილეებს ადევნება სხვადასხვა ტაქტიკის კომბინაციითაც აქვთ გამოცდილი, მაგალითად, ღოქსინგისა და არასასურველი შეტყობინებებით. ეს გამოცდილებები მოიცავდა მოძალადის მიერ სამიზნე ადამიანის პერსონალური მონაცემის, მისი ტელეფონის ნომრის, სოციალური მედიის პროფილის ან მისამართის მოპოვებას, და მასთან დაკავშირების განმეორებით მცდელობებს. მაგალითად, მონაწილეებმა გაიხსენეს შემთხვევები, როცა ტაქსის მძღოლები ან პოლიციელები აედევნენ მათი სერვისის გამოყენების შემდეგ.



*“მქონია ადევნების მომენტი, პოლიციელი ამედევნა... ჰირადი ინფორმაცია მოიპოვა მანქანის ნომრის მეშვეობით. მირეკავდა და მერე მემუქრებოდა, რომ არ ვხვდებოდი. ანუ, არც კი ვიცნობდი ამ ადამიანს, ვინ იყო, რა იყო, რას წარმოადგენდა, არც კი მქონია შემხებლობა, არც კი მისაუბრია მასთან. უბრალოდ, დამინახა რომ მანქანაში ვჯდებოდი და მანქანის ნომრით.. მწერდა ვაიბერზე... ანალოგიურად მერე, რომ ვერ მიაღწია ყურადღების ამბავს, უკვე მემუქრებოდა, რომ ჩემს მისამართს გაიგებდა და დამადგებოდა და რაღაცა... ავდექი და უბრალოდ დავბლოკე. არც მისამართი გაუგია და არც არაფერი.” (ინტერვიუ, ციფრული ბიზნესის მფლობელი)*

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ბიზნესის კონტექსტში მიღებულ გამოცდილებას თუ ჩავერმავედებით, არაზუსტი ან ცრუ ინფორმაციის ინტერნეტში



გავრცელებით ცილისწამება ყველაზე გავრცელებული ფორმაა. რესპონდენტთა 9.2%-ს პირადად აქვს ეს გამოცდილი, 13.6% კი იცნობს ადამიანს, რომელსაც ასეთი რამ აქვს გავლილი. ამის შემდეგ, ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა ბუღინგი და სიძულვილის ენა დაასახელეს, გამოკითხულთა 7.6%-ს პირადი გამოცდილება ჰქონდა, 13.2% კი იცნობდა ადამიანს, რომელსაც მსგავსი რამ გაუვლია (სურათი 7). ბიზნეს კონტექსტში ცილისწამება განსაკუთრებით დამაზიანებელი შეიძლება იყოს, რადგან საფრთხეს უქმნის რეპუტაციასა და კარიერულ პერსპექტივებს. დაჰაკვა ყველაზე ხშირად ნახსენები ტაქტიკაა, რომელიც რესპონდენტთა 6.1%-ს პირადად განუცდია, 11.4% კი იცნობს ადამიანს, რომელსაც მსგავსი რამ გაუვლია. გავრცელებით მას მოყვება არასასურველი შეტყობინებები და ფოტოებით განხორციელებული ძალადობა.

სურათი 7: TFGBV-ის ყველაზე ხშირად დასახელებული ფორმები და ტაქტიკები ბიზნეს კონტექსტში



თვისებრივი კვლევის მონაწილეების თქმით, **ცილისწამება** ისეთ სიტუაციებში განუცდიათ, როცა მათი კოლეგა არ ეთანხმებოდა შეთავაზებულ პროცესებს ან როცა კონკურენტებს მათი ბიზნესის დაზიანება უნდოდათ. გარდა ამისა, ქალებს ემუქრებოდნენ, როცა კოლეგების ან კონკურენტების პროდუქტების შესახებ კომენტარებს წერდნენ ან კრიტიკულ მოსაზრებებს აფიქსირებდნენ.

*"მე პირადად მქონდა ფაქტი, როდესაც ჯგუფში ერთ-ერთ ხელოსანზე დაწერე ნეგატიური კომენტარი, რომ რაღაც ისე არ გააკეთა და მისი მომხმარებელი უკმაყოფილო იყო, თაღლითობას ჰქონდა ადგილი და ფულის გამოძალვას. იმ ადამიანმა გადაწყვიტა, კაცმა, ხელოსანმა, რომ მე რადგან ვარ [ჯგუფის] ადმინისტრაციის წევრი, ჩემი ნომერი და მონაცემები საჯაროა, გადაწყვიტა, რომ პირადად მუქარებზე გადმოსულიყო და პოლიციაში სირბილები და ასეთი ამბები იყო. ეს მომენტი მქონდა, დავიძაბე, რომ რამდენად მარტივია ვიდაცისთვის, რომ ასე უცხო ადამიანს, რომელიც არაფერ შუაში არ არის თან, ტელეფონზე დაურეკოს და დაემუქროს და ა.შ." (ინტერვიუ, ციფრული ბიზნესის მფლობელი)*

ქალები ბიზნეს კონტექსტში **ბულინგს** მათი პროდუქტის შესახებ კრიტიკისას სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებში განიცდიდნენ. ამასთან, ბულინგის მსხვერპლი ხდებოდნენ მათი პოზიციების ან გადაწყვეტილებების გამო, რაც ხშირად მოიცავდა დოქსინგსა და მათი ფოტოების ბოროტად გამოყენებას. არასასურველი შეტყობინებებით **ადევნებაც** ხშირად იყო ნახსენები ბიზნეს კონტექსტში. ქალები იხსენებდნენ შემთხვევებს, როცა მომხმარებლები მათთან კომუნიკაციას მაშინაც ცდილობდნენ, როცა სერვისი უკვე მიწოდებული იყო.

კვლევის მონაწილეები **სექსუალური შევიწროების** შემთხვევებს უფრო მეტად ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობას ბიზნეს კონტექსტში განხილვისას იხსენებდნენ. ქალები ხშირად ხდებოდნენ შევიწროების მსხვერპლი ბიზნესში ჩართული ქალების მიმართ არსებული სტერეოტიპების გამო და მათ საქმიანობაში მიღწეული წარმატების ნაცვლას, კომენტარებს უფრო ხშირად მათ გარეგნობაზე ან სექსუალობაზე იღებდნენ.

*"მე მქონია შემთხვევა, როცა გავაზიარე ერთ-ერთი მედიის მიერ გადაღებული სიუჟეტი ჩემზე, და შემომივიდა მესიჯი. ჯერ იყო ბალზე საუბარი, შეკითხვა, რა ჯიშია და რაღაცა, და მერე უკვე გადავიდა, რომ ძალიან ლამაზი ვარ, და ასე შემდეგ. ესეც უკვე მე ვფიქრობ არის ერთგვარი ძალადობის ფორმა, მე როგორც მეწარმეს ისე კი არ აღმიქვამენ და ვერ ხედავენ ჩემს როლს და ჩემს საქმეს. აქცენტი კეთდება სულ სხვა რაღაცაზე და ეს არის მიზანი და ეს არის ერთგვარი ძალადობის ფორმა, ფსიქოლოგიური ძალადობაა და ჩემთვის ძალიან არასასიამოვნოა." (ფოკუსჯგუფის მონაწილე)*

ქალები ასევე აღნიშნავდნენ რომ ჰქონიათ შემთხვევები, როდესაც ბოროტი მიზნით მათი მონაცემების მოპოვებას ცდილობდნენ. ჰაკინგი ფოკუსჯგუფების დროს ხშირად ნახსენები საკითხი იყო - მონაწილეები იხსენებდნენ შემთხვევებს, როცა კიბერ შეტევის სამიზნე გახდნენ. მათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ მნიშვნელოვანია იცოდნენ ასეთი შეტევების დროს როგორ მოიქცნენ და როგორ დაიცვან საკუთარი თავი და ბიზნესი. გარდა ამისა, ქალებმა გაიხსენეს იდენტობის გაყალბების შემთხვევები, როცა ბიზნეს პარტნიორებთან მოპოვებული ნდობა ფულის გამოძალვის მიზნით ბოროტად გამოიყენეს.


*"[მქონია შემთხვევა, რომ] ადამიანი, ჩემი სახელის გამოყენებით დაუკავშირდა კომპანიებს, გამოართვა თანხები, და იმიტომ რომ მე მქონდა ონლაინ სივრცე, ეს კომპანიები მენდობოდნენ, ეს ინფორმაცია არც გადაამოწმეს ჩემთან." (ინტერვიუ, კონტენტ კრეატორი)*

კვლევამ აჩვენა, რომ ხშირად, ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა ერთდროულად სხვადასხვა ფორმითა და ტაქტიკით ხორციელდება, სხვადასხვა კონტექსტში გრძელდება და ფიზიკურ სივრცეებშიც გადაიზრდება. მისი გავლენა შეიძლება გასცდეს თავდაპირველ სამიზნეს და მოიცვას მსხვერპლის ოჯახის წევრებსაც. დისკუსიების დროს ქალებმა ახსენეს, რომ, ხშირად, ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა არ რჩება ციფრულ ინტერაქციაში და გავლენას მათ პირად ცხოვრებაზეც ახდენს, რაც ძლიერ სტრესს იწვევს.

### მსხვერპლსა და მოძალადეს შორის ურთიერთობები

ონლაინ გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტებს, რომლებმაც ძალადობის პირადი გამოცდილება დააფიქსირეს, ვთხოვეთ გაეხსენებინათ ვინ იყო მოძალადე. შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად, დამნაშავე უცნობი ადამიანი იყო, რომელსაც ბიზნესთან კავშირი არ ჰქონდა (40.2%). იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის მონაწილეების ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობაში ძირითადად ონლაინ ბულინგს მოიაზრებდნენ, მსგავსი შედეგი მარტივად აიხსნება. აღნიშნულს მოყვება ნაცნობი ადამიანები, რომლებსაც ბიზნესთან კავშირი არ აქვთ და კაცი მომხმარებლები - 11.8%. კაცი კოლეგები მოძალადეებად იდენტიფიცირდნენ გამოკითხულთა 9.8%-ის მიერ. რესპონდენტთა 8.8% კი ვერ იხსენებდა ან არ იცოდა მოძალადის ვინაობა.

სურათი 8: მოძალადესთან კავშირი



თვისებრივი მონაცემები აჩვენებს, რომ მონაწილეები ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას მოძალადეთა გენდერზე და ხაზს უსვამდნენ, რომ როცა საქმე ონლაინ ბულინგს ეხება, მოძალადე შესაძლოა იყოს როგორც კაცი, ისე - ქალი.

გარდა ამისა, ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების ფარგლებში გაზიარებული გამოცდილებებით გამოჩნდა, რომ ქალები ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის სამიზნე

ხშირად ყოფილი პარტნიორების, გავლენიანი ძალაუფლების მქონე პირების, და ჟურნალისტების მხრიდანაც კი ხდებიან.

*“ვიღაც რომ მწერს, მაინტერესებს ვინ არის და, [ხშირად] რაღაც სტატუსის მქონეები არიან, ძალოვანი სტრუქტურებში მომუშავეები, ვისაც სტატუსი აქვს და ბევრის უფლებას აძლევენ თავს.” (ინტერვიუ, ციფრული ბიზნესის მფლობელი)*

*“მქონია ესეთი შემთხვევა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით მემუქრებოდა ერთ-ერთი ადამიანი, ძალიან შორი ადამიანიც არ იყო, ცემი ყოფილი მუდღე იყო.” (ინტერვიუ, ციფრული ბიზნესის მფლობელი)*

### 5.2.3. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები

როგორც ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუს მონაწილეების მიერ აღინიშნა, ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ფაქტორით იყოს განპირობებული, მათ შორის ანონიმურობით, გენდერული სტერეოტიპებით, შურიტ, პოლიტიკური მოტივებითა და დახშული აგრესიის გამოხატვის საჭიროებით. ანალიზით ხაზი გაესვა პირადი, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების კომპლექსურ კავშირს, რაც ქალების ძალადობისადმი მოწყვლადობას ზრდის.

სოციოკულტურული ფაქტორები და გენდერული სტერეოტიპები ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ეს ფაქტორები ერთდროულად, მოძალადეებისთვის ძალადობის ჩადენის წამახალისებელ, ქალებისთვის კი მოწყვლადობის ფაქტორს წარმოადგენს. როგორც ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, ტრადიციული გენდერული როლები და მოლოდინები ქალების ავტორიტეტს ბიზნეს გარემოში აკნინებს, ქალების საჯაროობისა და აზრის გამოხატვისადმი არსებული კულტურული ნორმები კი, ონლაინ შევიწროების კუთხით ქალების მოწყვლადობას ზრდის. კვლევის მონაწილეების თქმით, მათი პროფესიული ძალისხმევა სექსისტური მიდგომების გამო ხშირად არასერიოზულად აღიქმება ან უგულებელყოფილია. მაგალითად, ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა ახსენეს, რომ ხშირად აწყდებოდნენ არასერიოზულ მიდგომებს ქალების მიერ მართული ბიზნესების შესახებ. მსგავსი სტერეოტიპები ხელს უწყობს კულტურას, სადაც ქალი მეწარმეები კრიტიკის ქვეშ არიან, არ არიან სერიოზულად აღქმულები და ზოგ შემთხვევაში, თვითცენზურასაც კი მიმართავენ, რათა პოტენციური ძალადობისგან დაიცვან თავი.

*“როდესაც ვამბობ მეწარმე ვარ, ფერმერი ვარ, ძალიან ხშირად დამინახავს, დამიჭრია, რომ კაცებს, ვინც ისმენდა ამას, გასცინებია. იმიტომ რომ, რატომღაც გონიათ, რომ მე რა მეწარმე უნდა ვიყო, ან მე რა ფერმერი უნდა ვიყო. აი ეს დამოკიდებულებაა, რომ მე რადგან ქალი ვარ, ზერელე დამოკიდებულებაა.” (ფოკუსჯგუფის მონაწილე)*

*"სოციალური ქსელების მეშვეობით ძალადობა, კომენტარებით ქალებთან მიმართებაში [უფრო ხშირია]. ასევე, უნდობლობაც ბიზნესის კუთხით, ისტორიულადაც, რომ ქალს რა შეუძლია, ქალი ვერ მართავს. მეკთხებიან ხოლმე, თქვენია ეს ბიზნესი? თუ ქმარი მართავს?" (ინტერვიუ, ციფრული ბიზნესის მფლობელი)*

შური და წარმატებული ქალების გარიყვის სურვილი ასევე დასახელდა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ჩადენის გავრცელებულ მოტივებად. ზოგიერთ მონაწილეს სჯეროდა, რომ მოძალადეები შურის გამო სამიზნედ ისეთ ქალებს არჩევდნენ, რომლებიც თავდაჯერებული და წარმატებული ჩანდნენ. როგორც ერთ-ერთმა ციფრული ბიზნესის მფლობელმა აღწერა, "ყველა ეს მოძალადე არის ძალიან სუსტი ადამიანი, რომელიც ცდილობს ყველანაირი ხერხით მოგდრიკოს." ქალების მიღწევების დამცირების სურვილი ხშირად უფრო ფართო სოციალური უთანასწორობასთანაა დაკავშირებული, სადაც ქალების მზარდი თავისუფლება მიუღებელია.

როგორც ინტერვიუებისა და ფოკუსგუფების დროს გამოჩნდა, ზემოთ განხილული კავშირშია ქალების რეპუტაციის დაზიანებასთან დაკავშირებულ შფოთვისასთან. ორმაგი სოციალური სტანდარტების გამო, ქალები საქართველოში უფრო მგრძობიარეები არიან რეპუტაციის შელახვასთან დაკავშირებით. ხშირია შფოთვა, რომ ძალადობის ინციდენტებმა შესაძლოა ქალთა პროფესიული სანდოობა არაპროპორციულად დააზიანოს. შედეგები ასევე აჩვენებს, რომ ქალები არა მხოლოდ საკუთარ რეპუტაციაზე დედავენ, არამედ ოჯახის წევრებზეც, განსაკუთრებით კი მათი პარტნიორების რეპუტაციაზე, რადგან პატრიარქალურ კულტურაში, ქალების რეპუტაცია მათი პარტნიორის რეპუტაციაზეა მიბმული.

*"ერთადერთი რის გამოც აკეთებენ ადამიანები [ძალადობას], არის ის რომ თავდაჯერება წაგვართვან, ასე მგონია. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც არ მოგვწონს ადამიანებს ერთმანეთში არის ის, რომ ვიღაცა თავდაჯერებულია." (ფოკუსგუფის მონაწილე)*

*"ყველაზე მეტად რეპუტაციის შელახვის გეშინია. ონლაინ როცა საქმიანობ ცდილობ გამოჩნდე, რადგან ასე მოთხოვნადი ხარ. შეიძლება შეგილახონ რეპუტაცია, გაგისაჯაროვონ ჩატი, რაც ბიზნესს არტყამს. არ ვიცი უშუალოდ ბიზნესში, მაგრამ ქალების მიმართ ყოველთვის არის [ასეთი შემთხვევები]. რაც უფრო აქტიური ხარ და კონკურენციაში შედიხარ საქმიანობით მამაკაცებთან, შეიძლება მეტად იყოს ბიზნესში [ასეთი შემთხვევები]." (ინტერვიუ, ციფრული ბიზნესის მფლობელი)*

ციფრული პლატფორმებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფუნქციები, მაგალითად, ანონიმურობა, დამნაშავეებს უფრო მეტად ახალისებს, ეფექტური მხარდაჭერის მექანიზმების არარსებობა კი მსხვერპლებს იზოლირებულსა და მხარდაჭერის გარეშე ტოვებს. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა ხშირად იქცევა ინდივიდებისთვის სივრცედ, სადაც დაგროვილ აგრესიასა და გაღიზიანებას გამოხატავენ. სოციალური ქსელების მიერ უზრუნველყოფილი ანონიმურობა მოძალადეებისთვის ფარად იქცევა და საშუალებას აძლევს, ბრაზი და ზიზღი სხვებზე გადაიტანონ, და თან არ ჰქონდეთ შიში, რომ საკუთარ ქმედებებზე პასუხის გება მოუწევთ. იდენტობის დამალვის შესაძლებლობა დამნაშავეებს გამბედაობას აძლევს, თავისუფლად დაამცირონ და შეურაცხყონ სხვები, რადგან

სჯერათ, რომ მათი მსხვერპლები რეალურ ცხოვრებაში ვერ შეხვდებიან. მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, ძალადობა ხშირად მწვავედა და ფიზიკურ სივრცეშიც გადაინაცვლებს ხოლმე. ამასთან, საფრთხე უფრო მწვავედ სოფლად აღიქმება, სადაც პირადი კავშირები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

*"ამიტომ არის ტექნოლოგია ასე საშიში, რომ ხალხს იმის საშუალებას აძლევს, რომ გამოავლინოს ის აგრესია, ბრაზი, ბოღმა, რაც აქვს დაგროვილი ფარულად. რასაც ისე ვერ ავლენს პირად ცხოვრებაში და ისე რასაც ვერ გაგიბედავს, აქ უსახელო პროფილით მთელ თავის ზიზღს ანთხევს მენზე." (ინტერვიუ, კონტენტ კრეატორი)*

ონლაინ პლატფორმების ანონიმურობის ფუნქცია პოტენციურად ხელს უშლის ძალადობის, როგორც დანაშაულის ან დევნიანტურ ქცევად აღქმას, რომელის წინააღმდეგაც აქტიური ზომების გატარებაა საჭირო მსხვერპლთა მხარდაჭერისა და დაცვისთვის. ამის გამო, ქალებს ხშირად არ აქვთ ნდობა ძალადობის წინააღმდეგ არსებული დაცვის მექანიზმებისადმი. მათ ემინიათ, რომ ინციდენტების დაფიქსირებას ეფექტური პასუხი არ მოყვება. ამასთან, ხშირად ქალებს არ აქვთ ძალადობის წინააღმდეგ საკმარისი მხარდაჭერა თემის ან ოჯახის მხრიდან, რაც ქალებს იზოლირებულს ტოვებს ონლაინ შევიწროების წინაშე.

*"რამდენიმე ფაქტორი არსებობს: ერთი ის რომ იმედი არ გაქვს, რომ მენ რაღაცას მიაღწევ, სამართალს იპოვი. მეორე ის, რომ გირჩევენია ეს მოხდა და გადაიტანო, ვიდრე საჯაროდ განხილვის საგანი გახდეს. და რა ვიცი, მიმართავ ყველაზე მარტივს, დაბლოკავ, მაგრამ ამის მოთმენა გიწევს. ის რომ რაღაცა მხარდაჭერა იგრძნო, არ არის. დღევანდელ რეალობაში ასეა." (ფოკუსგუფის მონაწილე)*

სხვა ფაქტორებთან ერთად, კვლევის მონაწილეებმა ქალებს შორის ტექნიკური უნარების ნაკლებობაც დაასახელეს. მათი თქმით, ციფრულ წიგნიერებისა და ონლაინ უსაფრთხოების ცოდნის კუთხით გამოწვევებმა, და ხელმისაწვდომი ციფრული უსაფრთხოების ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობამ შესაძლოა მოწყვლადობა გაზარდოს.

*"პირად გამოცდილებას გაგიზიარებ. რაც არ უნდა იყოს, ეს რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, მაგრამ მდებარეობითი სქესი შედარებით ნაკლებად არის ინფორმირებული ტექნოლოგიების მიმართულებით. ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება. ანუ, რომ ავიღოთ პროცენტულად, ვიდრე მამაკაცები. მამაკაცებს უფრო მეტად შეუძლიათ ის, რომ რაღაცა დაბლოკონ-მიბლოკონ და ა.შ." (ინტერვიუ, მაღალ რგოლზე დასაქმებული ქალი)*

კვლევის მონაწილეებმა ასევე განიხილეს ძალადობის პოლიტიკური ასპექტიც, როცა მოძალადეების მიზანს იმ გავლენიანი ხმების გაჩუმება წარმოადგენს, რომლებიც სტატუს კვოს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. ინფლუენსერები და კონტენტ კრეატორები, რომლებიც კრიტიკულ აზრებს გამოხატავენ, ხშირად ხდებიან სამიზნეები, რათა ნარატივზე კონტროლი შენარჩუნდეს და ხელი შეეშალოს საჯარო დისკურსზე გავლენის მოხდენისგან. საქართველოში არსებულმა მიმდინარე პოლიტიკურმა კონტექსტმა, განსაკუთრებით მთავრობის მიერ ახლახან მიღებულმა კანონმა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, მნიშვნელოვნად გაზარდა

ტექნოლოგიებით განხორციელებული ძალადობის რისკები, მათ შორის ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის, რამდენადაც სოციალურ მედიაში გახშირდა ამ საკითხზე პოლარიზებული მოსაზრებები და დაძაბული პოლიტიკური დისკუსიები. როგორც წინა თავში აღინიშნა, ქალებმა განსხვავებულ გამოცდილებებზე ისაუბრეს, და მათი თქმით, იმის მიუხედავად, აზიარებდნენ თუ არა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე საკუთარ მოსაზრებებს, წინეს გრძნობდნენ და სხვადასხვა ფორმით განიცდიდნენ ბულინგს.

*"ქალებს რაღაც განსხვავებულ კონტექსტში გვლანძღავენ მგონი. კაცი კონტენტ კრეატორები რომლებიც აქციაზე იდგნენ, იმათ თუ უწერენ, რომ 'ბეებო', ჩვენ გვიწერენ უფრო 'შტერები'. ცოტა სხვა სალანძღავი მესიჯები აქვთ, რომ შტერები ვართ, დებილები, არ ვიცით იქ რატომ ვდგავართ, კონტენტისთვის რომ ვდგავართ და ა.შ." (ინტერვიუ, კონტენტ კრეატორი)*

აღნიშნული ფაქტორები, რომლებიც მოძალადეებს ხელს უწყობს და ქართულ ბიზნეს გარემოში ძალადობის მიმართ ქალთა მოწყვლადობას ზრდის, ერთმანეთთან გადაჯაჭვულია. ისინი არა მხოლოდ ძალადობის მიმართ მოწყვლადობას ზრდიან, არამედ გავლენას ახდენენ იმაზეც, თუ როგორ მოქმედებს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა ქალების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე და როგორ რეაგირებენ ან უმკლავდებიან ქალები მსგავს გამოცდილებებს. ამ ფაქტორების გათვალისწინება ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შესახებ საჯარო პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებისას გადამწყვეტია, რადგან ეს უკანასკნელი სხვადასხვა დონეზე საჭიროებს ჩარევას - როგორც ინდივიდუალურ გაძლიერებასა და უნარების განვითარებას, ისე დამოკიდებულების შეცვლას უფრო ფართო საზოგადოებაში, და პროფესიულ გარემოში ქალებისთვის მხარდაჭერის სისტემების შემუშავებას.

### 5.3. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გავლენა ბიზნესში ჩართულ ქალებზე

#### ძირითადი მიგნებები:

- ძალადობას ქალებზე ხშირად ფსიქოლოგიური გავლენა აქვს, რაც გამოიხატება გაზრდილ შფოთვასა (54.9%) და სხვა ფორმის ფსიქოლოგიურ სტრესზე. აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამუშაო პროდუქტიულობასა და ფოკუსირების უნარზე.
- თვითცნაურა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია, რასაც ქალები ძალადობის ინციდენტების შემდეგ განიცდიან. ისინი ხშირად იზოლირდებიან პროფესიული სივრცეებიდან და ქსელებიდან, რაც მუდმივ თვით-ცნაურას, პროფესიულ იზოლაციას და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შემცირებას იწვევს.
- ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გამოცდილება ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალების უნარზე, შეასრულონ პროფესიული

პასუხისმგებლობები, რაც, რიგ შემთხვევებში სამსახურის დაკარგვას, კოლეგების ნდობისა და პროფესიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ართულებს. ეს კი, თავის მხრივ, კარიერული განვითარების შესაძლებლობებს ზღუდავს.

- გამოკითხვის მონაწილეთა მხოლოდ 12%-მა აღნიშნა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის წინააღმდეგ დახმარებისთვის სამართლებრივი მექანიზმების გამოუყენებლობა. სხვადასხვა მიზეზები დასახელდა, რის გამოც მსხვერპლები სამართლებრივ რესურსებს არ იყენებენ. მაგალითად, გამოკითხულთა 63% არ თვლიდა მათ შემთხვევას საჩივრის შეტანისთვის საკმარისად მნიშვნელოვნად, 25% არსებული მექანიზმების შესახებ საკმარის ინფორმაციას არ ფლობდა, 24%-მა კი არ იცოდა, დასახმარებლად ვისთვის უნდა მიემართა.
- ძალადობის მსხვერპლთა უმეტესობა მხარდაჭერას სამართლებრივი სისტემის მიღმა ეძებს - 33%-მა საკუთარი გამოცდილება მეგობრებს გაუზიარა, 23%-მა კი - ოჯახის წევრებს. გამკლავების გავრცელებულ სტრატეგიებს შორისაა ინციდენტების დაიგნორება, უსაფრთხოების ზომების გამოყენება, ონლაინ გაზიარებული ინფორმაციის კონტროლი და ქალთა ონლაინ ჯგუფების ან პროფესიული ქსელების საშუალებით თემისგან მხარდაჭერის მიღება.


ამ თავში განვიხილავთ ძალადობის მყისიერ და გრძელვადიან გავლენას ქალებზე, ასევე რა გავლენას ახდენს იგი ქალების კარიერის ტრაექტორიასა და საქმიან ურთიერთობებზე. ამ თავში ასევე მიმოვიხილავთ დახმარების ძიებასა და გამკლავების იმ სტრატეგიებს, რომლებსაც ქალები იყენებენ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შედეგებთან გასამკლავებლად.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა მნიშვნელოვნად უშლის ხელს ქალების პროფესიულ განვითარებასა და წარმატებას. მუდმივი სტრესი და უსაფრთხოების კუთხით შფოთვა ზღუდავს ქალის ნებას, მათალ თანამდებობებს დათანხმდეს და ამბიციური კარიერული მიზნები ჰქონდეს, უფრო აქტიური იყოს ონლაინ, აიმაღლოს ხმა და გაზარდოს ბიზნეს გაყიდვები. ამან შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს პროფესიული ურთიერთობების ჩამოყალიბების შესაძლებლობებზეც.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ყველაზე ხშირად დასახელებული შედეგი, რაც ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობას მოყვება, ფსიქოლოგიურია, ესაა მომატებული შფოთვა (54.9%) და სხვა ფორმის ფსიქოლოგიური სტრესი. ეს მოქმედებს ზოგად სამუშაო პროდუქტიულობასა და ფოკუსირების უნარზეც. ამასთან, აღსანიშნავია რომ მათგან ვინც პირადად განიცადა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა, 13.7% ვერ ახერხებდა სამუშაო ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას გარკვეული პერიოდი (სურათი 9). თვისებრივი კვლევის შედეგები რაოდენობრივთან თანხვედრაშია.



სურათი 9: TFGBV-ის გავლენა



ფოკუსჯგუფების და ინტერვიუების ფარგლებში, ქალებმა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის სხვადასხვა მყისიერი და გრძელვადიანი შედეგები დაასახელეს. გამოიკვეთა, რომ ემოციური სტრესი და შფოთვა ყველაზე ხშირი მყისიერი ეფექტებია როგორც ბიზნეს გარემოში, ისე - პირად სიტუაციებში. ეს შეიძლება იმისგან იყოს განპირობებული, რომ ემოციური სტრესი ყველაზე მარტივად ამოსაცნობი და დასახასიათებელია. სხვა ტიპის გავლენები, რომლებიც იშვიათად იყო დასახელებული კვლევის ფარგლებში, თანაბრად სერიოზული, თუმცა შედარებით უფრო რთულად გამოსახატია სტიგმის გამო.

*"საკმაოდ მძიმე იყო, უსიამოვნო და დიდი ტრამვა მომაყენა. ძნელი ყოველ დღით მოდიოდე სამსახურში და იცოდე, რომ არა სამსახური, არამედ მთელი ქალაქი მოიცვა ახალმა ამბავმა. რა განზრახვა ჰქონდა, არ ვიცი, მითუმეტეს ადამიანს, რომელთანაც კვეთა არ მქონია და უსიამოვნება არ მქონია." (ინტერვიუ, მაღალ რგოლზე დასაქმებული ქალი)*

ფოკუსჯგუფის და ინტერვიუების მონაწილეების მიერ ხშირად დასახელებული კიდევ ერთი შედეგი რაც ტექნოლოგიებით განხორციელებულ ძალადობას მოყვება, პროფესიული სივრცეებიდან და ქსელიდან იზოლაციაა. ამ გამოცდილებისგან მიღებულმა ტრავმამ მსხვერპლები აიძულა ონლაინ ყოფნისგან და საკუთარი მოსაზრებების გაზიარებისგან თავი შეეკავებინათ, ამან კი რეალურ ცხოვრებაში სოციალური წრის შემცირება გამოიწვია. ასეთი ტიპის იზოლაციამ შეიძლება სერიოზული გრძელვადიანი გავლენა იქონიოს, მაგალითად, მუდმივი თვითცენზურა, პროფესიული იზოლაცია და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შემცირება. თვითცენზურა ამცირებს კრეატიულობას, ინოვაციურობასა და იდეების გაზიარებას, ხელს უშლის სხვადასხვა ონლაინ ბიზნეს სტრატეგიების გამოყენებას და პოტენციურად ნეგატიურად მოქმედებს ბიზნესის ზრდასა და გაყიდვების შესაძლებლობებზე. უკიდურეს შემთხვევებში, მსხვერპლები სრულად ეთიშებიან ონლაინ სივრცეს, რაც პროფესიულ იზოლაციას კიდევ უფრო ამძაფრებს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დამაზიანებელია ისეთი ინდუსტრიებისთვის, სადაც ხილვადობისა და წარმატებისთვის ონლაინ ყოფნა გადამწყვეტია. ეს ყოველივე კი ხაზს უსვამს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის პოტენციურ ეკონომიკურ გავლენას, განსაკუთრებით კი მეწარმეთა და მცირე ბიზნესების მფლობელთა მიმართ.

*"გავლენას ახდენს იმ მხრივ, რომ უფრო ხლები თავშეკავებული და აღარ აზიარებ და ავრცელებ ისე ინტენსიურად. ბევრ რადაცას წონი. ავირილებ იმ დამატებით თავის ტკივილს, რაც შეიძლება ნახოს მერე იმ მუდღეულ თუნდაც, ან ახლობელმა და არასასიამოვნოა. [...] ამის თავიდან ასაცილებლად მირჩევნია არ ვჩანდე." (ფოკუსჯგუფის მონაწილე)*

*"მეც მქონია მსგავსი რადაცა, ჰაწაწინა ფრაზა დავწერე და აი ნუ არ ვიცი და მერე მცხვენოდა ისეთი კომენტარები იყო. ერთადერთი თუ შენ ქერქში იქნები და არსად დააფიქსირებ შენ აზრს, მსგავსი რამეც არ შეგემთხვევა. იძულებული ხარ რომ არ დააფიქსირო არაფერი, ნერვები რომ არ აიშალო." (ფოკუსჯგუფის მონაწილე)*

*"ფსიქოლოგიურად ძაან ცუდი [შედეგი მქონდა], რაც პოსტფაქტუმ მივხვდი. ნელ-ნელა ამან გამოიწვია სურვილი, რომ ნაკლებად ინტერაქციაში შევსულიყავი ადამიანებთან, ჩემი წრე შევიწროვდა პატარა რადიუსზე, მარტო სამსახურის ფარგლებში და სამი-ოთხი ადამიანი სამსახურს გარეთ. მივხვდი, რომ ვიწროდ ვიყავი, შებოჭილი და ეს ამასთან იყო დაკავშირებული." (ინტერვიუ, მაღალ რგოლზე დასაქმებული ქალი)*

ფოკუსჯგუფების და ინტერვიუების მონაწილეების მიერ განხილული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რაც ტექნოლოგიებით განხორციელებულ ძალადობას მოყვება ქალებისთვის, არის **შემცირებული სამუშაო პროდუქტიულობა და ფოკუსირების უნარი**. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ძალადობით გამოწვეული ფსიქოლოგიური სტრესი დიდ გავლენას ახდენს მათ უნარზე, სათანადოდ შეასრულონ პროფესიული პასუხისმგებლობები, ეს კი, ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა დამსაქმებელია ჩართული, სამსახურის დაკარგვას იწვევს. კიდევ ერთი გრძელვადიანი შედეგია კოლეგების ნდობისა და **სამსახურეობრივი ურთიერთობების ჩამოყალიბების სირთულეები**, რაც ხანდახან პირად ურთიერთობებშიც გადაიზრდება. ამ სირთულემ შესაძლოა პროფესიული იზოლაცია გაზარდოს და პროფესიული წრის გაფართოების შესაძლებლობები და კარიერული განვითარება შეაფერხოს.

*"მაგალითები გვაქვს, უბრალოდ მე ვერ დავასახელებ მაგას რომ მაილენტიფიცირებელი არ იყოს, თუმცა გვაქვს მაგალითები, როდესაც ადამიანის ონლაინ ბულინგმა გარკვეული ნიშნით გამოიწვია მისი სამსახურიდან გათავისუფლება. მისმა უფროსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მისი ონლაინ ბულინგი გავლენას ახდენდა მისი ორგანიზაციის პრესტიჟზე და გაუშვა სამსახურიდან." (ინტერვიუ, დაინტერესებული მხარე)*

თვისებრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პროფესიულ გარემოში ძალადობის გამოცდილებას მსხვერპლთა სამსახურეობრივ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი გავლენა აქვს. იგი მოქმედებს კოლეგებთან და მომხმარებლებთან ინტერაქციაზე და პოტენციურად ცვლის პროფესიული ურთიერთობების დინამიკას. ძალადობაზე საპასუხოდ, ზოგიერთმა მსხვერპლმა საკუთარი მუშაობის სტილი შეცვალა და ადაპტირებადი ქცევები

დანერგა რათა სამომავლო ინციდენტები შეემცირებინა ან თავიდან აერიდებინა. უფრო მეტიც, რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა რომ ნაკლები პროფესიული აქტიურობა შეიძლება ასევე იყოს გზა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის პოტენციური სიტუაციებისთვის თავის არიდებისთვის. ეს მიგნებები აჩვენებს, რომ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა მნიშვნელოვნად ცვლის სამუშაო გარემოში უსაფრთხოებისა და კომფორტის აღქმას.

*"ბოლო [ძალადობის გამოცდილება] რაც იყო, პროფესიული მიმართულებით, ყველანაირად თავი ავარიდე ამ ადამიანთან კონტაქტს, თუნდაც ბიუროკრატიულ საკითხებში შე არანაირად არ ვყოფილვარ ჩართული, სხვა ადამიანებს გადავბარე ეს [მოძალადესთან დაკავშირებული კონტრაქტი]." (ინტერვიუ, მაღალ რგოლზე დასაქმებული ქალი)*

*"მაგალითად მე ესე ვარ, ფეისბუქში არ ვწერ ჩემს სახელს და გვარს, ჩემი მუდლის სახელით და გვარით ვარ. არ მინდა რომ ყურადღება მივიქციო. ვხედავდი, რომ უწერდნენ რაღაცებს, ნეგატიურ კომენტარებს და მე არ მინდოდა. თავის არიდება [მირჩევნია], ზედმეტად რომ არავინ შემაწუხოს." (ფოკუსჯგუფის მონაწილე)*

ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების ანალიზმა გამოავლინა, რომ ძალადობის რისკი ან გამოცდილება კარიერულ არჩევანზეც ახდენს გავლენას, პოტენციურად ზღუდავს პროფესიულ შესაძლებლობებს ან კარიერულ გზას ცვლის, რაც ნიშნავს, რომ ქალებმა შეიძლება თავი აარიდონ ისეთ ინდუსტრიებსა და როლებს, სადაც ძალადობის მეტ რისკს ხედავენ. კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ძალადობით გამოწვეული სტრესი შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ მათ ბიზნეს აქტივობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს. ძალადობის ეფექტები მხოლოდ მყისიერი არაა და შესაძლოა დროთა განმავლობაში მათ პირად და პროფესიულ ტრავმატორიაზე აისახოს.

*"ჩემი აზრით, ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად მოქმედებს ეგ ყველაფერი. როცა ბულინგის მსხვერპლი ხარ თუნდაც, მერე უკვე აღარ გინდა ბიზნესის განვითარებაზე იფიქრო, შეიძლება სულ დახურო სიტყვაზე, მაღაზიაა თუ რა ბიზნესიც გაქვს." (ფოკუსჯგუფის მონაწილე)*

კვლევის მონაწილეების მიერ დასახელებული კიდევ ერთი გრძელვადიანი შედეგი რაც ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობას მოყვება, **რეპუტაციის დაზიანების მუდმივი შიშია**. შიში ძალადობის ერთმა შემთხვევამ შესაძლოა განუსაზღვრელი დროით განსაზღვროს მსხვერპლის პროფესიული და პირადი ცხოვრება. ეს შიში თითქმის ყოველთვის არსებობს, მიუხედავად იმისა, რესპონდენტებს პირადად განუცდიათ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა თუ - არა. ეს არის შემზღუდავი ფაქტორი, რაც მათ ონლაინ ყოფნასა და აქტიურობას აფერხებს. მონაწილეებმა აღნიშნავენ, რომ ძალადობის გამოცდილებას შესაძლოა ჰქონოდა გრძელვადიანი ნეგატიური გავლენა მათ პირად და პროფესიულ რეპუტაციაზე.

*"ჩემი მთავარი ფობია არის, რომ ონლაინ ბულინგის მსხვერპლი არ გავხდე ოდესმე. იმიტომ, რომ ძალიან საშიში იარაღია, რომელიც გარკვეულ ბაბლებს აქვთ და თუ ფეხი დაგიცდა, არავინ აღარ გინდობს და ძალიან საშიში ბულინგია ეს. იმიტომ, რომ რაც ონლაინ იწერება, ის არსად არ ქრება მერე, ყოველთვის შეიძლება ეს ამოტივტივდეს, არ გადადის ისეთ მეხსიერებაში, რომელც ვიდაცის ინდივიდუალურ მეხსიერებაზე იყოს დამოკიდებული და პირდაპირ სახელს რომ ჩაწერ, პირდაპირ ეს ინფორმაციები მოყვება შენზე და ამიტომაც ჩემთვის ცოტა საშიშია." (ინტერვიუ, ციფრული ბიზნესის მფლობელი)*


ეს მიგნებები ხაზს უსვამს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გავლენას პროფესიულ ცხოვრებაზე, რაც ცდება მყისიერ ფსიქოლოგიურ სტრესს და მათ კონკრეტულ კარიერულ გადაწყვეტილებებსა თუ სამუშაო პრაქტიკებზე აისახება. ეს მიუთითებს დასაქმებულების დასაცავად შესაბამისი შიდა ორგანიზაციული პოლიტიკების შემუშავების და ჯანსაღი პროფესიული გარემოს შესაქმნელად ძალადობასთან ბრძოლისთვის საჭირო მხარდაჭერის საჭიროებას. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეთა თქმით, მნიშვნელოვანია ძალადობის გავლენის გათვალისწინება სამუშაო ადგილის უსაფრთხოების, პროფესიული განვითარებასა და კარიერულ კონსულტაციებთან დაკავშირებულ დისკუსიებში.

### 5.3.1. გამკლავების სტრატეგიები და დახმარების ძიება

კვლევის შედეგები ძალადობასთან გამკლავების პრაქტიკისა და აღქმის შესახებ გარკვეულ ტენდენციებს აჩვენებს, რომელთა შორისაცაა, მაგალითად, ონლაინ შევიწროების ნორმალიზება. მისი ნეგატიური გავლენის გაცნობიერების მიუხედავად, ბევრი რესპონდენტი ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობას ონლაინ ყოფნის განუყოფელ ასპექტად თვლიდა - ფენომენად, რომელიც ინდივიდუალურად უნდა იმართოს და არა სისტემატურად, რაც მისი სიმძიმის სათანადოდ შეფასების ნაკლებობაზე მეტყველებს. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა არაა სერიოზულად აღქმული და ხშირად ოფიციალურად დაფიქსირებამდე ან ჩარევამდე არ მიდის. რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სამართალდამცავი ინსტიტუტები არაა ის პირველადი წყარო, რომელსაც ძალადობის მსხვერპლები მიმართავენ დასახმარებლად. იმ გამოკითხულთაგან, ვისაც თავად გამოუცდია ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა, მხოლოდ 12%-მა გამოიყენა სამართლებრივი მექანიზმები თავის დასაცავად. სამართლებრივი დახმარების გამოუყენებლობის მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი ისაა, რომ მსხვერპლთა 63% თავიანთ შემთხვევას არ მიიჩნევს საჩივრისთვის საკმარისად სერიოზულად. მეორე მხრივ, ქალები ხშირად არიან ჩუმად ძალადობის ინციდენტების შესახებ, რადგან არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სისტემების არსებობის შესახებ, ან მათ ეფექტურობას არ ენდობიან. გამოკითხვამ აჩვენა, რომ 25%-ს არ ჰქონდა არსებული მექანიზმების შესახებ ინფორმაცია, 24%-მა კი არ იცოდა, დახმარების მიზნით ვისთვის მიემართა (სურათი 10). ეს დუმილი პოტენციურად აგრძელებს ძალადობის ციკლს მისი რეალური გავრცელებისა და გავლენის არ გამჟღავნებით. გარდა ამისა, მან შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს აღქმა მხარდაჭერის სისტემები არაადეკვატურობის შესახებ, რაც თავის მხრივ ამ ტიპის ძალადობის


გამოცდილების მქონე ქალებს შეაფერხებს ძალადობის ინციტენდისა შეტყობინებისა და დახმარების თხოვნის ქმედებებისგან.

სურათი 10: სამართლებრივი მექანიზმების არ გამოყენების მიზეზები TFGBV-ის გამოცდილებისას



როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი გამოკითხვის შედეგები მიუთითებს, რომ მსხვერპლთა უმრავლესობა მხარდაჭერას სამართლებრივი სისტემის მიღმა ეძებს. გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტთა 33%-მა საკუთარი გამოცდილება მეგობრებს გაუზიარა. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ყოველ მეოთხე რესპონდენტზე მეტმა, რომელსაც პირადად ჰქონდა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა გამოცდილი, ამის შესახებ არავის გაუზიარა. ყველაზე გავრცელებულ სანდო ადამიანებს შორის ოჯახის წევრები მესამე ადგილს იკავებენ და მათ რესპონდენტთა 23%-მა გაუზიარა საკუთარი გამოცდილების შესახებ (სურათი 11).

სურათი 11: TFGBV გამოცდილების გაზიარება



გამოკითხვის შედეგები თანხვედრაშია ფოკუსჯგუფებისა და ინტერვიუების შედეგებთან. კვლევის მონაწილეებმა აღწერეს სხვადასხვა პრაქტიკები, რომლებსაც ძალადობისგან თავის დასაცავად, მათ ასარიდებლად ან მსგავსი გამოცდილების მიღების შემდეგ მასთან გასამკლავებლად იყენებენ. ქალებმა არა მხოლოდ ისაუბრეს გამკლავების მექანიზმებზე, არამედ გააზიარეს საკუთარი მოსაზრებები ტექნოლოგიებით

განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან ეფექტურად საბრძოლველად და მისი პრევენციისთვის საჭირო მექანიზმების შესახებ.

თვისებრივი კვლევის მონაწილე ქალებმა გააზიარეს ის ინდივიდუალური სტრატეგიები, რომლებსაც ძალადობასთან გასამკლავებლად და მისი პრევენციისთვის იყენებენ. აღნიშნული მიდგომები ორ მთავარ კატეგორიას აერთიანებს: ინციდენტების დაიგნოროებასა და

უსაფრთხოების ზომებს. ზოგიერთი ქალი სრულად აიგნორებს ძალადობის შემთხვევებს. მართალია, ეს ყოველთვის საუკეთესო გადაჭრის გზა არაა, თუმცა ხანდახან მენტალური ჯანმრთელობისთვის ოპტიმალურია, განსაკუთრებით მცირე ინციდენტების დროს. სხვა ინდივიდუალური სტრატეგიები, რომელთაც ქალებმა გაუსვეს ხაზი, არის უსაფრთხოების ზომები და ინფორმაციის კონტროლი; ბევრ ქალს ყურადღებით აქვს შემუშავებული სტრატეგიები, თუ რა ინფორმაციას აზიარებენ და როგორ. ისინი ფრთხილად წყვეტენ როდის და სად გამოაქვეყნონ ინფორმაცია, და რა დეტალები გაამხილონ საკუთარი თავისა და საქმიანობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევამ პოტენციური ხარვეზები გამოავლინა სოციალური მედიის უსაფრთხოებაზე ინფორმირებულობისა და უნარების კუთხით. როგორც ჩანს, ინფლუენსერებსა და ქალებს, რომლებიც გაყიდვებისთვის აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს, უფრო სიღრმისეულად ესმით ციფრული უსაფრთხოების ტაქტიკები. ისინი, როგორც წესი, უფრო გამოცდილები არიან ონლაინ ანგარიშების მართვისა და პოტენციური ძალადობისგან თავის დაცვის კუთხით.

*“ტიკტოკი გაძლევს დადუეტების საშუალებას და მენ ვიდეოს მერე სხვა აზიარებს და სხვა კონტენტში, თავის აუდიტორიას, რომელიც მენტან არაფერ შუაში არ არის, აღანძვინებს მენ თავს. მე ეგეთ დროს უბრალოდ ვთიშავ და არ ვუყურებ ეგეთ ვიდეოებს, არც კომენტარებს ვკითხულობ, ვცდილობ ჩემი კომენტარებიც არ წავიკითხო ხოლმე. უბრალოდ იგნორი არის ჩემი საშუალება.” (ინტერვიუ, კონტენტ კრეატორი)*

ინფორმირებულობის მხრივ მსგავსი ხარვეზები მიანიშნებს, რომ ქალების სხვა ჯგუფებისთვის სოციალური მედიის უსაფრთხო და სტრატეგიული გამოყენების შესახებ ცოდნის აქტიურად გაზიარებაა საჭირო. მართალია, ინდივიდუალური სტრატეგიები არ უნდა იყოს ძალადობისგან თავის დაცვის ერთადერთი მეთოდი, თუმცა ონლაინ სივრცეებში უსაფრთხო ნავიგაციისთვის ქალების მნიშვნელოვან იარაღად შეიძლება იქცეს. მსგავსი ინდივიდუალური მიდგომები ღირებულია, თუმცა არ უნდა ჩაანაცვლოს ძალადობასთან ბრძოლისას ფართო სისტემური მიდგომები. პრევენციის წახეხი მხოლოდ პოტენციურ მსხვერპლებზე არ უნდა იგრძნობოდეს. ამ უნარებით ქალების გაძლიერება სხვა სისტემურ გადაჭრის გზებთან ერთად დაცვის დამატებით შრეს ქმნის.

დიდ კომპანიებში ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფმა ქალებმა საინტერესო დეტალები გააზიარეს იმის შესახებ, თუ როგორ ებრძვიან ძალადობას საკუთარ ორგანიზაციებში. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული კორპორაციებიდან ბევრს, პერსონალის სხვადასხვა ფორმის არაეთიკური მოპყრობისა და შევიწროებისგან, მათ შორის კიბერ დანაშაულისგან დასაცავად, საკუთარი პროტოკოლები და პროცედურები აქვთ შემუშავებული, მაგალითად, ქცევის შიდა ეთიკური კოდექსი. მიუხედავად ამისა, არც ერთ მათგანს უხსენებია ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობისგან პრევენციისთვის საჭირო სპეციფიკური პროტოკოლის არსებობა. მაგალითად, ერთ შემთხვევაში, რესპონდენტის თქმით როცა გადაცდომა ტექნოლოგიების საშუალებით ხდება, პროცესში IT (ინფორმაციული ტექნოლოგიების) პერსონალი უნდა ჩაერთოს, რათა გადაწყვიტოს, რამდენად იყო აღნიშნული ქცევა დანაშაული. ეს კი, კითხვებს აჩენს, რამდენად აქვს IT გუნდს იმის კომპეტენცია, რომ

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა აღმოაჩინოს და შესაბამისად მოიქცეს.

კვლევის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ქალების უფლებებისა და ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შესახებ ინფორმირებულობის ზრდის მნიშვნელობას. საინტერესოა, რომ რესპონდენტებმა ასევე მიუთითეს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის კუთხით პირადი გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზეც. მათ სჯერათ, რომ გამოცდილების გაზიარებით არა მხოლოდ საკუთარ ისტორიას ყვებიან, არამედ სხვა ქალებს აძლევენ გამბედაობას, რომ საკუთარი უფლებები დაიცვან. ეს ქალებს აჩვენებს, რომ მართო არ არიან და შეუძლიათ შესაბამისი ნაბიჯები გადადგან, რათა ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობას ებრძოლონ. ზოგიერთმა ქალმა ასევე დამნაშავეს ქცევების შესახებ ცნობიერების ზრდის საჭიროება აღნიშნა.

*"ინფორმაციას არ ფლობენ ქალები და კაცები. მეც არასდროს მიფიქრია, რომ ასეთი რამის წინაშე დავდებოდი. ბევრად მეტი ინსტიტუტი უნდა გვთავაზობდეს ტრენინგებს. მაგალითებზე დაყრნობით უნდა ხდებოდეს ცნობიერების ამაღლება და ლაპარაკით. კვლევის ინიციატივით რომ არ მოსულიყავით ჩემთან, ამაზე, როგორც ძალადობაზე არ მიფიქრია. თითქოს სახელს ვერ არქმევ ამას და რაც უფრო მეტი ცონდა იქნება, მეტი იდენტიფიცირება მოხდება." (ინტერვიუ, ძალად რგოლზე დასაქმებული ქალი)*

კვლევის მონაწილეებმა თემის მხარდაჭერა და სოლიდარობა დახმარების თხოვნისა და ძალადობის წინააღმდეგ გამკლავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად დაასახელეს. ეს მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმით ვლინდება, მაგალითად, ქალების ონლაინ ჯგუფებში ან პროფესიულ ქსელებში. როგორც მათ აღნიშნეს, აღნიშნული ჯგუფები თუ ქსელები ძალადობასთან დაკავშირებული გამოცდილებების, სტრატეგიებისა და რესურსების გაზიარებისთვის უსაფრთხო სივრცეა. გარდა ამისა, ოჯახის წევრების მხარდაჭერა ასეთ ინციდენტებთან საბრძოლველად გადამწყვეტი ელემენტია. ამასთან, კაცების მხარდაჭერა კიდევ ერთი დასახელებული პრაქტიკაა, რომელიც თანატოლი კაცების, კოლეგების ან გამომწერების მხრიდან უგრძვნიათ და მას მნიშვნელოვანი როლი აქვს ძალადობასთან გამკლავების პროცესში. ეს კი ხაზს უსვამს გენდერებს შორის სოლიდარობის მნიშვნელობას.

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის კომპლექსური ბუნება, პრობლემის გადაჭრის მრავალგანზომილებიან სტრატეგიას საჭიროებს. ზოგიერთი სტრატეგია პრევენციასა და ცნობადობის გაძლიერებაზე ორიენტირდება, ზოგიერთი კი - მხარდაჭერისა და გამკლავების მექანიზმების უზრუნველყოფაზე. აღნიშნული სტრატეგიების ეფექტურობა განსხვავებულია ინდივიდუალური შემთხვევებისა და ორგანიზაციული კონტექსტის მიხედვით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს გარემოში ძალადობასთან ბრძოლისას ყველაზე პოზიტიური შედეგების მიღება მეტად სავარაუდოა მსგავსი მიდგომების კომბინაციით, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციებზეა მორგებული.

## 6. არსებული პოლიტიკისა და მექანიზმების მიმოხილვა

### ძირითადი მიგნებები:

- საქართველომ მოახდინა ისეთი ძირითადი საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება, როგორცაა ბუდაპეშტის კონვენცია, სტამბულის კონვენცია და ლანზაროტეს კონვენცია, სადაც ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა ცალსახად ნახსენები არაა, თუმცა ონლაინ შევიწროებასა და ონლაინ ძალადობასთან ბრძოლისთვის რელევანტურ ჩარჩოს უზრუნველყოფს. აღნიშნული კონვენციების შიდა კანონმდებლობაში ინტეგრირება მნიშვნელოვანია ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან ბრძოლის პროცესში სრულფასოვანი და თანამშრომლობითი მიდგომის შემუშავებისთვის.
- საქართველოს შიდა კანონმდებლობა არ მოიცავს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობისთვის სპეციფიკურ დებულებებს, რაც სამართლის პრაქტიკოსებს ამგვარი საქმეების ეფექტურ გასაჩივრებაში უშლის ხელს. უმეტესწილად პრაქტიკაში გამოიყენება ისეთი მუხლები, როგორებიცაა 126, 1261 და 1511, თუმცა მტკიცებულებების მიმართ მაღალი მოთხოვნებისა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ძალადობის კუთხით ნაკლები ფოკუსირების გამო, ხშირად, არაადეკვატურია.
- ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის პრობლემის გადაწყვეტაში გადამწყვეტ როლს სხვადასხვა ქართული ინსტიტუტები ასრულებენ, თუმცა კოორდინირების, მონაცემთა შეგროვებისა და სპეციალიზებული ტრენინგების კუთხით არსებული ხარვეზები მათ ეფექტურობას ამცირებს. ამ მხრივ ახალი სპეციალური საგამოძიებო სამსახური იმედის მომცემია, თუმცა ძალადობის შემთხვევების მართვის ფარგლებში ნდობის მოპოვებისა და კომპეტენციის განსავითარებლად განგრძობადი მხარდაჭერა ესაჭიროება.

ამ თავში განვიხილავთ ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ მარეგულირებელ სტანდარტებს საერთაშორისო კონვენციებისა და შიდა კანონმდებლობისა და პოლიტიკის ჩარჩოების გათვალისწინებით.

საერთაშორისო დონეზე, საქართველომ მნიშვნელოვანი შეთანხმებების რატიფიცირება მოახდინა, რომელთა შორისაც უნდა აღინიშნოს 2012 წელს რატიფიცირებული ბუდაპეშტის კონვენცია კომპიუტერული დანაშაულის შესახებ<sup>25</sup>. მართალია, აღნიშნული კონვენცია ძირითადად კომპიუტერულ დანაშაულს ეხება,<sup>26</sup> თუმცა არაპირდაპირ ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასაც მოიცავს, განსაკუთრებით კი იმ დებულებებით, რომლებიც სექსუალური შევიწროების ონლაინ და ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით განხორციელებულ ფორმებს, მაგალითად, ფოტოების ან ვიდეოების თანხმობის გარეშე

<sup>25</sup> Spínu, N. (2020). Georgia Cybersecurity Governance Assessment, p. 7. Available at: <https://www.dcaf.ch/sites/default/files/publications/documents/GeorgiaCybersecurityGovernanceAssessment.pdf> [Accessed 19.04.2024]

<sup>26</sup> Council of Europe, Convention on Cybercrime Budapest, 2001. Available at: <https://rm.coe.int/1680081561> [Accessed 19.04.2024]



გავრცელებას, იძულებას ან მუქარას, ეხება. გარდა ამისა, 2017 წელს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ სტამბულის კონვენციის რატიფიცირებამ საქართველოს კანონმდებლობა გააძლიერა და გენდერული ძალადობის შესახებ ერთიანი, ჰოლისტური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობით. მართალია, სტამბულის კონვენცია ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობას ცალსახად არ ახსენებს, თუმცა მისი დებულებები ფსიქოლოგიური ძალადობის, ადევნებისა და სექსუალური შევიწროების შესახებ ძალადობის შემთხვევებისთვის რელევანტურია ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შემთხვევებისთვისაც, და მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ონლაინ და ტექნოლოგიებით განხორციელებული ძალადობის ფენომენის გაგებაში. ორივე კონვენციის დებულებების სტრატეგიული ინტეგრაცია ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან ბრძოლაში ზედმიწევნით მიდგომას უზრუნველყოფს, განსაკუთრებით კი საპროცესო სამართლისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით.<sup>27</sup> ამასთან, საქართველომ 2014 წელს ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ ლანზაროტეს კონვენციის<sup>28</sup> რატიფიცირება მოახდინა. აღნიშნული კონვენცია ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის ქმედებების კრიმინალიზებით არაპირდაპირ ეხება ძალადობას, რითიც ხელს უწყობს ძალადობის ამ ფორმის წინააღმდეგ ბრძოლას. მიუხედავად ამ საერთაშორისო ვალდებულებებისა, ძალადობის საკითხის ეფექტურად გადასაჭრელად საერთაშორისო კონვენციებსა და შიდა კანონმდებლობას შორის მეტი სინერჯიაა საჭირო.

საქართველოს ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოში, ძალადობის რეგულირება კომპლექსურ გამოწვევას წარმოადგენს, რაც ძირითადად აისახება სისხლის სამართლის კოდექსის 126, 126<sup>1</sup>, 151<sup>1</sup>, და 157-159 მუხლებში მოცემული სამართლებრივი დებულებებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის<sup>29</sup>, იმ სპეციფიკურ თავებთან ერთად, რომლებიც კიბერდანამაულებზე<sup>30</sup> ორიენტირებული. სამართლის ფემინისტი პრაქტიკოსები<sup>31</sup> ხშირად ადევნების შესახებ არსებულ 151<sup>1</sup> <sup>32</sup> მუხლს იყენებენ, როცა საქმე ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შემთხვევებს ეხება. აღნიშნული მუხლი არასასურველი ადევნებისა და კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს გულისხმობს, რაც ახლოსაა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შემთხვევებში გავრცელებულ შევიწროებისა და ძალადობის ფორმებთან. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 126<sup>1</sup><sup>33</sup> მუხლები ძალადობის კონტექსტში ხშირად გამოიყენება, მიუხედავად მათში არსებული შეზღუდვებისა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მუხლები ძალადობის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის ფსიქოლოგიურსა და ეკონომიკურ ძალადობასაც ფარავს, მტკიცებულებების წარმოდგენის მაღალ მოთხოვნებს აწესებს, მაგალითად ფიზიკური ტკივილის მიყენების ან ტანჯვის

<sup>27</sup> Van Der Wilk, A. (2021). Protecting Women and Girls from Violence in the Digital Age, p. 37. Available at: <https://rm.coe.int/the-relevance-of-the-ic-and-the-budapest-convention-on-cybercrime-in-a/1680a5eba3> [Accessed 19.04.2024]

<sup>28</sup> Council of Europe. Convention on the Protection of Children against Sexual Exploitation and Sexual Abuse. 2007. Available at: <https://rm.coe.int/1680084822> [Accessed 19.04.2024]

<sup>29</sup> Criminal Code of Georgia. Available at: <https://matsne.gov.ge/en/document/view/16426> [Accessed 19.04.2024]

<sup>30</sup> Ibid. CHAPTER XXXV – Cybercrime

<sup>31</sup> ამ კონტექსტში, ამ ტერმინს განვსაზღვრავთ, როგორც იურისტებს ქალთა უფლებებისა და ფემინისტური ორგანიზაციებიდან, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან გენდერული ძალადობის საქმეებზე.

<sup>32</sup> Ibid

<sup>33</sup> Ibid

მტკიცებულება, ეს კი გამოწვევაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა საქმე ტექნოლოგიებით მიყენებულ ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ზიანს ეხება. საქართველოს ამჟამინდელი შიდა კანონმდებლობა არ მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომლებიც ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობას ეხება. ამიტომ, ასეთი ტიპის ძალადობის შემთხვევებში ისეთი არსებული კანონები გამოიყენება, რომლებიც ადევნებასა და პირადი ინფორმაციის გავრცელებას ეხება: *"ამ სფეროში სპეციალური სერვისები საერთოდ არ არსებობს. მაგრამ ის სერვისები, რომლებიც ზოგადად არსებობს ქალთა მიმართ ძალადობის და სექსუალური შევიწროების და სხვა შევიწროების პრევენციის და აღკვეთისთვის, შეიძლება იყოს გამოყენებული ამ სახის ძალადობის ფორმების მიმართაც."* (ინტერვიუ, დაინტერესებული მხარე)

საქართველოს ყოვლისმომცველი კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ<sup>34</sup> საქართველოს სამართლებრივ სისტემაში კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ დებულებებს ავსებს. აღნიშნული კანონი, საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო კონვენციებთან ერთად, რომელთა შორისაცაა სტამბულის კონვენცია, გენდერულ ძალადობასთან, მათ შორის ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან ბრძოლისთვის ყოვლისმომცველ მიდგომის საფუძველს ქმნის.

ამასთან, კიბერდანაშაულის თავში გარკვეული დებულებები ირიბად ეხება ძალადობას. მაგალითად, 284, 285, 286<sup>35</sup> მუხლები მოიცავს კომპიუტერულ სისტემებში უნებართვო შეღწევას, კომპიუტერული მონაცემების უკანონო გამოყენებასა და ყალბი ოფიციალური კომპიუტერული მონაცემების შექმნას. სისხლის სამართლის კოდექსის 157-159<sup>36</sup> მუხლები, რომლებიც პირადი ინფორმაციის გამჟღავნებას და კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევას ეხება, ასევე კვეთს ძალადობის ასპექტს. აღნიშნული მუხლები პირადი ინფორმაციის უკანონო მოპოვებას, გავრცელებასა და გამოყენებას მოიცავს, რაც ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გავრცელებული ტაქტიკაა, განსაკუთრებით, როცა იგი ციფრული პლატფორმების მეშვეობით ხდება. მიუხედავად ამ სამართლებრივი ზომებისა, რეგულირების კუთხით გამოწვევები კვლავ არსებობს, რის გამოც ტექნოლოგიებით განხორციელებული მზარდი გენდერული ძალადობის აღმოსაფხვრელად მუდმივი ადაპტაციაა საჭირო.

გარკვეული იურიდიული ინსტრუმენტების არსებობის მიუხედავად, ამჟამინდელი, რომ ძალადობასთან ეფექტური ბრძოლისთვის საერთაშორისო ვალდებულებებს, შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის მეტი თანხვედრაა საჭირო. ეს განსაკუთრებით აისახება პრაქტიკოსებზე, რომლებიც ამ კანონების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებისას მნიშვნელოვან გამოწვევებს აწყდებიან.

<sup>34</sup> Law Of Georgia On The Elimination Of Violence Against Women And/Or Domestic Violence, And The Protection And Support Of Victims Of Such Violence. Available at: <https://matsne.gov.ge/en/document/view/26422?publication=18> [Accessed 19.04.2024]

<sup>35</sup> Ibid

<sup>36</sup> Ibid

*"პრაქტიკაში ძალიან გიჭირს ასეთი შემთხვევებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება და სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად მათი განსაზღვრა. გვექონდა ჩვენ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ხდებოდა ყალბი პროფილის შექმნა, სექსუალური კოტექსტის მინიჭება ფოტო/ვიდეოზე. ასეთი შემთხვევის დაკვალიფიცირება და მათთვის სისხლის სამართლის კოდექსის მორგება ჩვენთვის რთულია და გამოწვევას ვაწყდებით. გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსში მუხლები, რომელიც შეიძლება მოვარგოთ, მაგრამ არის ისეთი კაზუსუალური შემთხვევები, რომელიც ვერცერთ მუხლს ვერ ერგება." (ინტერვიუ, დაინტერესებული მხარე)*

დაინტერესებული მხარეები ხაზს უსვამენ სამართალდამცავი ორგანოების, ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და სხვა რელევანტური პირების თანამშრომლობის მნიშვნელობას ძალადობასთან ეფექტური ბრძოლისთვის. ამასთან, მათი თქმით, საჭიროა არსებული კანონმდებლობის ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობაზე მორგება, რადგან ამჟამად, აღნიშნული საკითხის შესახებ ცალკე მუხლი არ არის გამოყოფილი.

*"ვინაიდან დღესდღეობით, ონლაინ სივრცეში განხორციელებული გენდერული ძალადობის თაობაზე ჩვენ არ გვაქვს საკანონმდებლო რეგულირება, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებები შევიდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ უკვე არსებულ კანონმდებლობაში და მასში დაკონკრეტდეს, რომ ძალადობის ეს ფორმები ასევე ეხება ონლაინ სივრცეში და ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებულ ძალადობას." (ინტერვიუ, დაინტერესებული მხარე)*

რაც შეეხება ინსტიტუციებს, იქიდან გამომდინარე, რომ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა მოიცავს როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, დანაშაულის პრევენციასა და აღმოფხვრაზე სხვადასხვა ინსტიტუტებია პასუხისმგებელი. მთავარ მოთამაშეებს შორის არიან შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის ინსპექციის სამსახური, სახალხო დამცველის აპარატი, სასამართლო და პროკურატურა - ყველა მათგანი გადამწყვეტ როლს ასრულებს ძალადობის შემთხვევების განხილვის პროცესში.

2022 წლის 1 მარტამდე, პირადი ცხოვრების შემლახავი დანაშაულების გამოძიებაზე პასუხისმგებელი შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო, თუმცა, მას შემდეგ, ასეთ ტიპის დანაშაულების გამოძიება დაევალა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს<sup>37</sup>, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა. პასუხისმგებლობამ მოიცვა ისეთი დანაშაულების გამოძიება, როგორც პირადი ინფორმაციის უკანონო მოპოვება, ისე პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფა, რაც სისხლის სამართლის 157-159<sup>38</sup> მუხლებშია ნახსენები. გამოძიება პირადი ცხოვრების სავარაუდო ხელყოფის 167 ფაქტზე დაიწყო, ხოლო სამართლებრივი დევნა 14 პირის მიმართ აღიძრა.<sup>39</sup> იმის მიუხედავად, რომ ეს ორგანო შედარებით ახალია და მოსახლეობისგან დიდი ნდობა ჯერ არ აქვს, მის მუშაობას ექსპერტები პოზიტიურად აფასებენ:

<sup>37</sup> Law Of Georgia On The Special Investigation Service. 2021. Article 2. Available at: <https://www.matsne.gov.ge/en/document/download/4276790/6/en/pdf> [Accessed 19.04.2024]

<sup>38</sup> Criminal Code of Georgia. Available at: <https://matsne.gov.ge/en/document/view/16426> [Accessed 19.04.2024]

<sup>39</sup> Special Investigation Service 2022 activity report: [https://sis.gov.ge/uploads/files/642boob19d11a\\_specialuri-sagamodziebo-samsaxuris-2022-wlis-saqmianobis-angarishi.pdf](https://sis.gov.ge/uploads/files/642boob19d11a_specialuri-sagamodziebo-samsaxuris-2022-wlis-saqmianobis-angarishi.pdf)

*"ამ კუთხით დადებითად შეფასებელი იმას, რომ ცალკე საგამოძიებო ორგანო მუშაობს და სხვათაშორის, შარშან სპეციალიზაცია გააკეთა და მხოლოდ სპეციალიზებული გამომძიებლები მუშაობენ ამ დანაშაულებზე, რაც კარგი არის იმიტომ, რომ თუ 10 ადამიანი, რომლებიც მხოლოდ ესენი არიან უფლებამოსილები, რომ ესეთი ტიპის დანაშაულებზე იმუშაონ, მარტივია, რომ ეს 10 ადამიანი გავაძლიეროთ, გადავაშზადოთ, ემპათიური გავხადოთ და შესაბამისად, კარგად ვაძუშაო, სახელმწიფოს პერსპექტივიდან რომ შევხედოთ." (ინტერვიუ, დაინტერესებული მხარე)*

საერთაშორისო ორგანოებისა და შუდა სტრუქტურების შეფასებების კრიტიკული ანალიზი ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა საქართველოში ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან ბრძოლაში გაწეული ძალისხმევის ეფექტურობასა და არსებულ გამოწვევებზე.

GREVIO-ს შემაჯამებელი ანგარიში დეტალურად აფასებს საქართველოს მიერ კონვენციასთან შესაბამისობის შესახებ საკანონმდებლო ღონისძიებებისა და პრაქტიკული ნაბიჯებს. ანგარიშში დადებითადაა შეფასებული რეფორმები, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისკენაა მიმართული და ამასთან, გამოყოფს დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების აღმოფხვრისა და სხვადასხვა ფორმის, მათ შორის ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობისთვის სპეციალიზებული მხარდაჭერის სერვისების კუთხით არსებულ კრიტიკულ ხარვეზებს. ანგარიშის მიხედვით, საჭიროა მყისიერი რეაგირება კოორდინაციის გაუმჯობესების, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვისა და ისეთი გამოწვევების აღმოფხვრით, როგორებიცაა გასაჩივრების მცირე რაოდენობა და მსხვერპლთა მხარდაჭერისთვის არასაკმარისი მხარდაჭერი რესურსების არსებობა<sup>40</sup>. გარდა ამისა, GREVIO ხაზს უსვამს სისხლის სამართლის კანონების შესაბამისობას სტამბულის კონვენციის დებულებებთან, განსაკუთრებით, ფსიქოლოგიურ ძალადობასა და ადევნებასთან მიმართებაში, აღნიშნული დანაშაულების ციფრული განზომილების ჩათვლით. ასევე, ანგარიშის მიხედვით, მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესება, საკანონმდებლო ჩარჩოს უკეთ გამართვა, და იურიდიული პროფესიონალების შესაძლებლობების გაძლიერება ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან ეფექტური ბრძოლისთვის. რომ შევაჯამოთ, შეფასებაში ხაზგასმულია ერთიანი მიდგომის მნიშვნელობა, რაც საქართველოში ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივ, პოლიტიკურ და პრაქტიკულ ინტერვენციებს მოიცავს. ამისთვის კი მყისიერი რეაგირებაა საჭირო არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოების გაძლიერების კუთხით.<sup>41</sup>

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შემთხვევები საქართველოში სხვადასხვა ოფიციალურ წყაროებშია მითითებული. საქართველოს სახალხო დამცველის

<sup>40</sup> GREVIO Baseline Evaluation Report Georgia. 2022. <https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa>

<sup>41</sup> Ibid

ანგარიში<sup>42</sup> ნათქვამია, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup> <sup>43</sup> მუხლით 95 ადევნების ფაქტზე დაიწყო. მიუხედავად ამისა, ონლაინ ადევნების გამოსაძიებლად კონკრეტული მექანიზმების არარსებობა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის საწინააღმდეგო ნაბიჯების ადეკვატურობის შესახებ კითხვებს აჩენს.

რომ შევაჯამოთ, მართალია, საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო ძალადობის აღმოსაფხვრელად გარკვეულ ასპექტებს უზრუნველყოფს, თუმცა მნიშვნელოვანია ამ თანამედროვე ტიპის ძალადობის საწინააღმდეგო სპეციფიკური დებულებების არსებობა. ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობაში არსებული გენდერული დინამიკების გაცნობიერებითა და ნათელი საკანონმდებლო მექანიზმების ჩამოყალიბებითა და დანეგვით, სამართლებრივ სისტემას შეეძლება ციფრულ ეპოქაში უკეთ დაიცვას მსხვერპლები და მოძალადეებს პასუხი აგებინოს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ინფორმირებულობის ზრდის და პრაქტიკოსების შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით მუშაობაც, რათა უკეთ შეძლონ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და მასთან ბრძოლა.

---

<sup>42</sup> the Public Defender of Georgia on the Situation of Protection of Human Rights and Freedoms in Georgia 2020, pp. 156. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021070814020446986.pdf>

<sup>43</sup> Criminal Code Of Georgia, Article 151<sup>1</sup> <https://matsne.gov.ge/en/document/download/16426/157/en/pdf>

## 7. რეკომენდაციები

ამ ქვეთავში მოცემულია რეკომენდაციები ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობაზე რეაგირების გაუმჯობესებისთვის. იგი მოიცავს საკანონმდებლო ცვლილებებს, მონაცემთა შეგროვებისა და კვლევას, და შიდა ორგანიზაციული პოლიტიკისა და მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერებას, ასევე განათლებისა და ინფორმირებულობის ზრდის მნიშვნელობას. მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებულ მხარის მიერ, მათ შორის სახელმწიფო ინსტიტუტების, ბიზნესების, საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო/საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის აღმოფხვრაზე მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო						
რეკომენდაციები	(საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ინსტიტუტები	მსხვილი ბიზნესი	მცირე და საშუალო ბიზნესი	ბიზნეს ასოციაციები	საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები
რეკომენდებულია ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის განახლება, და ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის მოცვა. სამართლებრივი ჩარჩო უნდა ადაპტირდეს და მოიცვას ონლაინ ინციდენტები, მაგალითად ინტიმური ფოტოების უნებართვო გავრცელება, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს იწვევს. ძალადობად კვალიფიკაციისა და გამოძიების გამოწვევების დასაძლევად, რეკომენდებულია სისხლის სამართლის კოდექსის დებულებების გადახედვა ონლაინ ძალადობის ნიუანსების უკეთ ინტეგრაციის მიზნით. ასევე, რეკომენდებულია აღსრულების პროცედურების განახლება ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის სპეციფიკური გამოწვევების ასახვის მიზნით, რადგან ოფლაინ საქმეებისთვის არსებული ტრადიციული მტკიცების სტანდარტები შესაძლოა ამ შემთხვევაში რელევანტური არ იყოს. ასეთი	✓	✓				

<p>საკანონმდებლო და პროცედურული ცვლილებები ეფექტური აღსრულებისა და დაცვისთვის აუცილებელია.</p>					
<p>სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი კანონები და რეგულაციები, რომლებიც კერძო კომპანიებს დაავალდებულებს, შეიმუშაონ და დანერგონ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის პრევენციისა და მასთან ბრძოლისთვის საჭირო მექანიზმები. მნიშვნელოვანია ეს მოთხოვნა ცალსახად იყოს მითითებული კანონში, რათა კომპანიები მხოლოდ ნებაყოფლობით ზომებს არ ეყრდნობოდნენ. გარდა ამისა, აუცილებელია ამ რეგულაციების მკაცრი მონიტორინგისა და აღსრულების უზრუნველყოფა, ზედამხედველობის კუთხით კი შრომის ინსპექცია გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს. კერძო სექტორის ვალდებულებები ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების კუთხით ნათლად უნდა იყოს განმარტებული, რაც ეფექტური განხორციელებისა და ანგარიშვალდებულებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.</p>	✓	✓		✓	
<p>ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის საკითხი ინტეგრირებული უნდა იყოს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და კონცეფციებში. ეს მოიცავს ამ საკითხთან დაკავშირებული დებულებების ჩართვას ისეთ ძირითად დოკუმენტებში, როგორცაა ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა და ქალთა მიმართ ძალადობის სამოქმედო გეგმა. ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის აღნიშნულ სტრატეგიულ ჩარჩოებში ინტეგრირება გადამწყვეტია ამ საკითხის წინააღმდეგ ბრძოლის</p>	✓	✓			

<p>ყოვლისმომცველი და კოორდინირებული მიდგომის ჩამოსაყალიბებლად.</p>						
<p>რეკომენდებულია სამართალდამცავი ინსტიტუტების, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, პასუხისმგებლობის განსაზღვრა და უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება. GREVIO-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ სააგენტოებისთვის სპეციალური პროტოკოლების ჩამოყალიბებას ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და აღმოფხვრის მიზნით. ეს უნდა მოიცავდეს სისხლის სამართლის საქმეების ანალიზს, შეუწყნარებლობის გამო ჩადენილი დანაშაულების შესწავლას და ონლაინ ძალადობის შესახებ მოქმედი სისხლის სამართლის მუხლების განხილვას. მკაფიოდ განსაზღვრული როლები და გაუმჯობესებული კოორდინაცია ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან მიმართებაში უფრო ეფექტურ და ყოვლისმომცველ რეაგირებას უზრუნველყოფს.</p>	✓	✓				
<p><b>შიდა ორგანიზაციული პრევენციისა და მხარდაჭერის მექანიზმები ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის აღმოსაფხვრელად</b></p>						
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	<p><b>(საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციები</b></p>	<p><b>სახელმწიფო ინსტიტუტები</b></p>	<p><b>მსხვილი ბიზნესი</b></p>	<p><b>მცირე და საშუალო ბიზნესი</b></p>	<p><b>ბიზნეს ასოციაციები</b></p>	<p><b>საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები</b></p>
<p>რეკომენდებულია ორგანიზაციებმა და ბიზნესებმა ყოვლისმომცველი შიდა პოლიტიკა დანერგონ კონკრეტულად ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის</p>			✓		✓	



<p>პრევენციისა და მასთან ბრძოლისთვის. აღნიშნული პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ინციდენტების ასახვის, საჩივრების გამოძიებისა და დისციპლინური ზომების მკაფიო მითითებებს. ორგანიზაციებმა, რომლებსაც სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის საჭირო მექანიზმები უკვე აქვთ დანერგილი, აღნიშნული ზომები უნდა გააფართოვონ, რათა ონლაინ ინციდენტებიც მოიცვან.</p>					
<p>ბიზნესებმა უნდა შეიმუშაონ ინციდენტების დაფიქსირების უსაფრთხო და ანონიმური მექანიზმები, მაგალითად ცხელი ხაზი ან ონლაინ ფორმები, სადაც დასაქმებულებს შეეძლება, კონფიდენციალობის დაცვით ასახონ ძალადობის ინციდენტები. აღნიშნული არხები უნდა იყოს საჯარო და ყველა დასაქმებულისთვის ხელმისაწვდომი, მათ შორის შშმ პირებისთვის. ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეიძლება გამოიხატებოდეს ტექსტის განმარტების სერვისებში, ხელმისაწვდომ ვებ ფორმებში ან მრავალფეროვანი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭირო სხვა მიდგომებში.</p>			✓	✓	✓
<p>ბიზნესებმა უნდა გამოყონ შიდა კადრები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის საქმეების განხილვასა და დაზარალებული თანამშრომლების მხარდაჭერაზე. გარდა ამისა, ბიზნესებისთვის მიზანშეწონილია, ძალადობის პრევენციაში სპეციალიზებულ ექსპერტებთან ან ორგანიზაციებთან გარე პარტნიორობა დაამყარონ. ეს პარტნიორობა შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს დამატებითი</p>			✓	✓	✓

<p>რესურსებზე, მხარდაჭერასა და ექსპერტიზაზე წვდომისთვის. დიდი ბიზნესისთვის, ეს შეიძლება მოიცავდეს სპეციალიზებულ სააგენტოებთან ფართო თანამშრომლობას, ხოლო მცირე ბიზნესისთვის, ადგილობრივ სათემო ჯგუფებთან ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. ასეთი გარე მხარდაჭერა ბიზნესის შიდა მექანიზმებისა და ძალადობაზე რეაგირების გაძლიერებას უწყობს ხელს.</p>					
<p>ორგანიზაციებმა IT პროფესიონალები უნდა ჩართონ, რათა შეაფასონ და გააძლიერონ თავიანთი ციფრული პლატფორმების უსაფრთხოება, და დაცვის სტრატეგიები კონკრეტულ საჭიროებებსა და გამოწვევებს უნდა მორგონ. ეს მოიცავს ვებგვერდების, სოციალური მედიის ანგარიშებისა და შიდა საკომუნიკაციო სისტემების ბოროტად გამოყენებისგან დაცვას. თითოეულმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს კიბერუსაფრთხოების ინდივიდუალური სტრატეგია, რომელიც აღწერს მის უნიკალურ მოწყვლადობას და პოტენციური საფრთხეებისგან დაცვას უზრუნველყოფს.</p>			✓	✓	
<p>ორგანიზაციებმა ყველა თანამშრომლისთვის სავალდებულო ტრენინგები უნდა ჩაატარონ, თუ როგორ უნდა ამოიციონ, თავიდან აირიდონ და შეატყობინონ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ფაქტების შესახებ. ტრენინგი უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ მაგალითებს, როდესაც თამაშების სცენარებსა და ინსტრუქციებს ინციდენტების დაფიქსირების არხების გამოყენების შესახებ. მასალები რეგულარულად უნდა განახლდეს,</p>			✓	✓	✓

<p>რათა ახალი ინფორმაცია და საუკეთესო პრაქტიკები ასახოს.</p>						
<p>მსხვილმა ბიზნესებმა პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი (DPO) უნდა დანიშნონ, რომელიც მგრძნობიარე და პერსონალური მონაცემების მართვას გააკონტროლებს. DPO-მ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა დაცვის რეგულაციებთან შესაბამისობა, კონფიდენციალურობის პოლიტიკის დანერგვა და თანამშრომლებისა და კლიენტების ინფორმაციის დაცვა.</p>			✓		✓	
<p>ბიზნეს ასოციაციებმა ყოვლისმომცველი პლატფორმა უნდა შექმნან, რომელიც ძალადობის მართვაში დაეხმარება როგორც მცირე, ისე მსხვილ ბიზნესებს. ეს პლატფორმა უნდა უზრუნველყოფდეს ისეთ აუცილებელ რესურსებზე წვდომას, როგორებიცაა გაიდლაინები და საუკეთესო პრაქტიკები, ტრენინგ სესიები, საჭიროებების შეფასება და რესურსების ჰაბი, ასევე გარე ექსპერტებთან და იურიდიულ რჩევებთან წვდომას. პლატფორმის საშუალებით ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ადგილობრივ და ეროვნულ ორგანიზაციებთან კოორდინაცია, რომლებიც ძალადობის პრევენციაში არიან სპეციალიზებული, რათა ბიზნესებს შიდა მექანიზმების შეფასებასა და გაუმჯობესებაში დაეხმარონ. ასეთი პლატფორმა ხელს შეუწყობს ბიზნესს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური პოლიტიკის განხორციელებაში და ყველა სექტორში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფს.</p>	✓				✓	

**ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შესახებ განათლებისა და ინფორმირებულობის, და ციფრული უსაფრთხოების გაძლიერება**

რეკომენდაციები	(საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ინსტიტუტები	მსხვილი ბიზნესი	მცირე და საშუალო ბიზნესი	ბიზნეს ასოციაციები	საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები
<p>რეკომენდებულია, ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება დანერგილი იყოს პროფესიული ტრენინგებისა და გადამზადების პროგრამებში. საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა და ტრენინგ ცენტრებმა ეს კომპონენტი საკუთარ სილაბუსში უნდა ასახონ. ამით ქალებს, რომლებიც ემზადებიან დასაქმების ბაზარზე ინტეგრაციისთვის ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის აღმოსაფხვრელად საჭირო ცოდნისა და უნარებით აღჭურვავენ.</p>	✓	✓			✓	✓
<p>რეკომენდებულია ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობაზე, ციფრულ ჰიგიენასა და უსაფრთხოებაზე მორგებული საგანმანათლებლო მოდულების შემუშავება და გავრცელება, როგორც ონლაინ, ისე - ოფლაინ. აღნიშნული მოდულები ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სპეციფიკურ საჭიროებებზე უნდა იყოს მორგებული, მოიცავდეს უსაფრთხო ონლაინ პრაქტიკებს, პერსონალური ინფორმაციისა და მოწყობილობების დაცვასა და პოტენციური რისკების იდენტიფიცირებას. ამის მიზანი ციფრული წიგნიერების გაძლიერება და ყველა ინდივიდის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების გაძლიერებაა, რათა</p>	✓	✓				✓

ონლაინ საფრთხეებისგან თავი ეფექტურად დაიცვან.						
რეკომენდებულია მიზნობრივი კამპანიებისა და სასწავლო პროგრამების საშუალებით ციფრული უსაფრთხოების რისკების და პერსონალური ინფორმაციის დაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ასევე სკოლებთან, ადამიანური რესურსების სამსახურებთან და სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ამ ინიციატივების შემუშავებისა და განხორციელებისთვის. ეს ნაბიჯები ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოებისთვის სხვისი პერსონალური მონაცემების გავრცელების ან შენახვის სამართლებრივი და ეთიკური შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთა და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებთან მიმართებაში.	✓	✓				✓
რეკომენდებულია ციფრული წიგნიერებისა და ონლაინ უსაფრთხოების უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირება, განსაკუთრებით კი ეთნიკურ უმცირესობებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებში. მიზანმიმართული ტრენინგები ინდივიდებს დაეხმარება, გაცნობიერონ და გამოიყენონ ციფრული დაცვის ინსტრუმენტები და სტრატეგიები, რაც ონლაინ ექსპლუატაციის მიმართ მათ მოწყვლადობას შეამცირებს.	✓	✓				✓

<p>რეკომენდებულია თემის მხარდამჭერი ჯგუფების, მათ შორის ონლაინ ქალთა ჯგუფებისა და პროფესიული ქსელების ჩამოყალიბების წახალისება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის შესახებ გაზიარებისა და გამკლავების უსაფრთხო სივრცეები. გარდა ამისა, ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მხარდაჭერისა და ადვოკატირებისთვის მნიშვნელოვანია თანატოლი კაცების, კოლეგებისა და თემის წევრების ჩართვის წახალისება.</p>	✓				✓	
<p><b>ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის კვლევა და მონაცემთა შეგროვება</b></p>						
რეკომენდაციები	(საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციები	სახელმწიფო ინსტიტუტები	მსხვილი ბიზნესი	მცირე და საშუალო ბიზნესი	ბიზნეს ასოციაციები	საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები
<p>ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის მონაცემთა შეგროვების ეროვნულ კვლევებში ინტეგრირება მნიშვნელოვანია. რეკომენდებულია ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული სპეციფიკური კითხვების ჩართვა არსებულ ეროვნულ კვლევებში, სათანადო ინტეგრაციისთვის საქსტატთან თანამშრომლობა, ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით მონაცემების ჩაშლა, ინტერვიუების გადამზადება სენსიტიური მონაცემების შეგროვებაზე და რეგულარული ანგარიშების მექანიზმის შექმნა ტექნოლოგიებით</p>	✓	✓				✓

განხორციელებული გენდერული ძალადობის მონაცემების ანალიზისა და გავრცელებისთვის.					
<p>რეკომენდებულია ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ეროვნული კვლევისა და ცოდნის გაზიარების პლატფორმის შექმნა. ამ პლატფორმამ უნდა უზრუნველყოს აკადემიკოსების, მკვლევარების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების ქართული ქსელის შექმნა. მისი ძირითადი მიზნები უნდა იყოს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის ეროვნული ინდიკატორების შემუშავება და მონიტორინგი და რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, მათ შორის კავკასიელ მეზობლებთან შედარებითი კვლევები, რეგიონულ ფორუმებში მონაწილეობა, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება და საერთაშორისო დაფინანსების უზრუნველსაყოფად რეგიონული კვლევის კონსორციუმის შექმნა.</p>	✓	✓			✓
<p>რეკომენდებულია, რომ საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად ჩაერთონ ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის კვლევაში და მის აღმოფხვრაში, გენდერულ ნორმებთან, სოციალურ დამოკიდებულებებთან და სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფებზე, როგორცაა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა, ეთნიკური უმცირესობები, ქალები და ლგბტქ+ თემები, სპეციფიკური გავლენის შესწავლით. თავიანთი წვლილის გასაძლიერებლად, ამ ინსტიტუტებმა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის კვლევები თავიანთ სასწავლო სილაბუსებში</p>		✓			✓

<p>უნდა ჩააშენონ, განავითარონ სპეციალიზებული კვლევითი პროგრამები და ამ სფეროში ცოდნისა და მეთოდოლოგიების შესაქმნელად საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან პარტნიორობა დაამყარონ.</p>						
<p>რეკომენდებულია სხვადასხვა ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული საჭიროებების ყოვლისმომცველი შეფასების ჩატარება. ეს გულისხმობს იმ სპეციფიკური საჭიროებებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას, რომელთა წინაშეც ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან მიმართებაში ბიზნესი დგას. დასკვნები გამოყენებულ უნდა იქნას კომპანიებისთვის, მათ შორის მცირე ბიზნესებისთვის, სახელმძღვანელო მითითებებისა და საუკეთესო პრაქტიკებს შესამუშავებლად, რათა ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობით დაზარალებულ თანამშრომლებს ეფექტურად დაეხმარონ და მხარი დაუჭირონ.</p>			✓	✓	✓	
<p>აუცილებელია საქართველოში არსებული ტექნოლოგიებით განხორციელებულ გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკების სიღრმისეული ანალიზი, მათ შორის მიმდინარე შემთხვევების შესწავლა. გარდა ამისა, უნდა შეფასდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკები საქართველოს პოლიტიკასა და აღსრულების სტრატეგიებში არსებული ხარვეზებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოსავლენად. ეს სიღრმისეული შეფასება მიზნად უნდა ისახავდეს ადგილობრივი კანონმდებლობის გლობალურ სტანდარტებთან</p>	✓	✓				✓



შესაბამისობაში მოყვანას, და საქართველოს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის მიმართ მიდგომის მკაფიოობასა და კონტექსტთან შესაბამისობას.						
<p>საჭიროა საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობის გავლენის კვლევა. აღნიშნულმა კვლევამ უნდა შეისწავლოს, თუ როგორ მოქმედებს ტექნოლოგიებით განხორციელებული გენდერული ძალადობა სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფზე, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობებზე, ლგბტქ+ თემებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და სხვა მარგინალიზებულ მოსახლეობაზე. დასკვნები უნდა მოიცავდეს ამ ჯგუფების სპეციფიკურ მოწყვლადობებსა და საჭიროებებს, რაზე დაყრდნობითაც შემუშავდება მიზნობრივი ინტერვენციები და პოლიტიკის მიდგომები.</p>	✓	✓				✓



## უსაფრთხო ონლაინი: ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში

2023 წლის სექტემბრიდან, მერსი ქორფსის წარმომადგენლობამ საქართველოში დაიწყო 3 წლიანი პროგრამა საქართველოსა და სომხეთში - „უსაფრთხო ონლაინი: ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში“. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას ციფრული ტრანსფორმაციის დემოკრატიზაციისა და ბიზნესში ქალების ონლაინ უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზით.

პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით და ხორციელდება მერსი ქორფსის მიერ.

პროგრამის „უსაფრთხო ონლაინი: ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში“ პარტნიორი ორგანიზაციებია: საქართველოში - **სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (CSD)**, ხოლო სომხეთში - **გავლენის ინოვაციების ინსტიტუტი (IMINI)**.

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიურო** შეიქმნა 1977 წელს, რათა მსოფლიოს მასშტაბით განავითაროს ინდივიდუალური და დემოკრატიული თავისუფლება. იგი ეხება იმ ფუნდამენტურ თავისუფლებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია შეერთებული შტატების მიერ დაფუძნებულ დოკუმენტებში, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და სხვა გლობალური, რეგიონალური ვალდებულებების დამატებით მუხლებში. შეერთებული შტატები მხარს უჭერს იმ ადამიანების მისწრაფებებს, რომლებსაც სურთ, იცხოვრონ თავისუფლებაში, დემოკრატიული მთავრობის პირობებში და იბრძოდნენ ტერორიზმისა და ავტორიტარიზმის გავრცელების წინააღმდეგ. თავისუფალ, მშვიდობიან სამყაროში ამერიკელი ხალხის სახელით.

**მერსი ქორფსი** არის წამყვანი საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც 40-ზე მეტ ქვეყანაში ეხმარება ადამიანებს შექმნან უსაფრთხო, პროდუქტიული და სამართლიანი გარემო, რათა შეამსუბუქოს ტანჯვა, სიღარიბე და ჩაგვრა.

მასალის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ პარტნიორი ორგანიზაცია - CSD და ის შეიძლება, არ წარმოადგენდეს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და მერსი ქორფსი საქართველოს შეხედულებებს.

